

186
1979

საქართველო
ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ მთავრობის ღარგენიღებათა კრებუდი

№ 2

მარტი — აპრილი

1979 წ.



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი—აპრილი

1979 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

22. საქართველოს სსრ კანონთა წიგნის საკითხები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

23. ქალაქ სოხუმში სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნის შესახებ.

24. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ი. ჯანელიძის ხსოვნის უკვდავოების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

25. საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშათა და მოსამსახურეთა მებაღეობის ამხანაგობის ტიპობრივი წესდების დამტკიცების შესახებ.

26. რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, სამეურნეობათაშორისო, აგროსამრეწველო გაერთიანებების, მათი საწარმოო ერთეულების, საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და კოლმეურნეობების კოლექტივების წასახალისებელი ფულადი პრემიების ოდენობის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

27. ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის სამუშაოებზე გაგზავნილი სპეციალისტებისათვის საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის შესახებ.
28. სახალხო განათლების საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
29. სამრეცხაოების მომსახურების მოქმედი ტარიფების შეცვლის შესახებ.
30. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 იანვრის № 32 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
31. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების დებულების შესახებ.
32. ა. ა. ვასაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
33. დ. ი. ანდლუაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
34. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაწესებულების სტატუსის მინიჭების შესახებ.
35. თბილისის წიგნის ფაბრიკისათვის ილია ჭავჭავაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.
36. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ.
37. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

22 საქართველოს სსრ კანონთა წიგნის საკითხავი¹⁾

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 23 მარტის № 229 დადგენილების — „სსრ კავშირის კანონთა წიგნის საკითხები“ — შესაბამისად საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ კანონთა წიგნი უნდა მომზადდეს სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის საფუძველზე და ხელი შეუწყოს რესპუბლიკური კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფას, საზოგადოების ინტერესების, საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გაძლიერებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებას.

საქართველოს სსრ კანონთა წიგნი გამოიცეს 1983-1987 წლებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ოფიციალური გამოცემის სახით ქართულ და რუსულ ენებზე.

2. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ კანონთა წიგნის თანდართული სქემა და წიგნის მასალების ფორმირების ძირითადი პრინციპები (დანართები № 1 და 2).

საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მომზადებულ კარებს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წარდგენით განიხილავს საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გამომცემი კომისია და წარუდგენს მოსაწონებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მომზადებისა და გამოცემის გეგმა (დანართი № 3) და მოწონებულ იქნეს შესამუშავებელი და საქართველოს სსრ კანონთა წიგნში შესატანი აქტების ნუსხა (დანართი № 4).

4. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გამომცემ კომისიას:

ა) დააზუსტოს საქართველოს სსრ კანონთა წიგნის სქემაში და შესამუშავებელი და საქართველოს სსრ კანონთა წიგნში შესატანი აქტების ნუსხა;

ბ) მისცეს სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს დავალებანი საქართველოს სსრ კანონთა წიგნში მოთავსებული მოქმედი კანონმდებლობის აქტებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ წინადადე-

1) დანართი № 3 და № 4 არ იბეჭდება.

ბების მოსამზადებლად, ხოლო საჭიროების კვალობაზე — აგრეთვე ახალი აქტების პროექტების მოსამზადებლად საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 26 აპრილის № 327 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად;

გ) შექმნას საქართველოს სსრ კანონთა წიგნში შესატანი აქტების ცალკეული პროექტების შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფები საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ინსტიტუტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების სპეციალისტთაგან, იმ ვარაუდით, რომ ისინი აღნიშნულ ჯგუფებში მუშაობის დროს შესაბამის ხელმძღვანელთა თანხმობით განთავისუფლდნენ სხვა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისაგან.

5. საქართველოს სსრ კანონთა წიგნის თეორიული საფუძვლების შემუშავებისა და მისთვის მოსამზადებელი მასალების მაღალი მეცნიერული დონის უზრუნველყოფის, აგრეთვე საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით მისაღები საკანონმდებლო აქტების შესაქმნელად მუშაობის სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში საბჭოთა კანონმდებლობის განყოფილება.

დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს გამოყონ აღნიშნული განყოფილების შექმნისათვის სათანადო სახსრები.

6. საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გამოცემა დაევალოს საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს საქართველოს სსრ კანონთა წიგნის ბეჭდვა საჭირო პოლიგრაფიული ბაზით და მისი გამოცემა დასაშლელ რეგულაბზე.

დაეკისროს საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გავრცელება ორგანიზაციათა და მოქალაქეთა ხელმოწერით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახმომარაგებას უზრუნველყოს, მოყოლებული 1982 წლიდან, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტისათვის დასაშლელ ფურცლებზე დამაგრებულსაკეტაიან ყდების მიწოდება საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გამოსაცემად.



8. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის აშხ. მალრაძის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი მიიღებს ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 30 დეკემბრის № 844 დადგენილების შესრულებას მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემის 1980 წლის იანვრისათვის დამთავრების შესახებ.

საქართველოს კბ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი

ბ. შევერდნაძე.

საქართველოს სსრ
უმალესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე

ზ. პატარიაძე.

ქ. თბილისი, 1979 წ. 3 აპრილი, № 251.

საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 3 აპრილის № 251 დადგენილების დანართი № 1

ს ქ მ მ ა

საქართველოს სსრ კანონთა წიგნისა

კ ა რ ი I. კანონმდებლობა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების შესახებ

- თავი 1. საქართველოს სსრ კონსტიტუცია.
- თავი 2. საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფო წყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა.
- თავი 3. საარჩევნო სისტემა. სახალხო დეპუტატი.
- თავი 4. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები.
- თავი 5. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.
- თავი 6. შრომითი კოლექტივები. საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ნებაყოფლობითი საზოგადოებანი და კავშირები.
- თავი 7. სახელმწიფო გერბი. სახელმწიფო დროშა. სახელმწიფო ჰიმნი.
- თავი 8. საპატიო წოდებანი. საპატიო სიგელები. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები.
- თავი 9. სხვა საკითხები.

კ ა რ ი II. კანონმდებლობა სოციალური განვითარებისა და კულტურის შესახებ. მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი

- თავი 1. სამოქალაქო კანონმდებლობა.
- თავი 2. ქორწინება და ოჯახი.
- თავი 3. შრომა და სოციალური უზრუნველყოფა.
- თავი 4. ჯანმრთელობის დაცვა. ფიზიკური კულტურა და სპორტი.
- თავი 5. სახალხო განათლება.
- თავი 6. მეცნიერება.
- თავი 7. კულტურა.

კ ა რ ი III. კანონმდებლობა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის შესახებ

- თავი 1. ზოგადი საკითხები.
- თავი 2. მიწის კანონმდებლობა.
- თავი 3. კანონმდებლობა წიაღის შესახებ.
- თავი 4. წყლის კანონმდებლობა.
- თავი 5. ტყის კანონმდებლობა.
- თავი 6. ატმოსფერული ჰაერის დაცვა.
- თავი 7. ცხოველთა სამყაროს დაცვა და გამოყენება.

კ ა რ ი IV. კანონმდებლობა სახალხო მეურნეობის შესახებ

- თავი 1. სახალხო მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სხვა ზოგადი საკითხები.
- თავი 2. ფინანსები.
- თავი 3. კაპიტალური მშენებლობა.
- თავი 4. მრეწველობა
- თავი 5. სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადება.
- თავი 6. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.
- თავი 7. ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება.
- თავი 8. საბინაო-კომუნალური მეურნეობა.
- თავი 9. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

კ ა რ ი V. კანონმდებლობა მართლმსაჯულებისა და მართლწესრიგის დაცვის შესახებ

- თავი 1. ზოგადი საკითხები.
- თავი 2. სასამართლო წყობილება.
- თავი 3. იუსტიციის ორგანოები, ადვოკატურა. ნოტარიატი. სამართლებრივი წესაობა სახალხო მეურნეობაში

- თავი 4. სამოქალაქო სამართალწარმოება. არბიტრაჟი.
 თავი 5. შინაგან საქმეთა ორგანოები.
 თავი 6. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხები.
 თავი 7. სისხლის სამართლის კანონმდებლობა.
 თავი 8. სისხლის სამართალწარმოება.
 თავი 9. შრომა-გასწორებითი კანონმდებლობა.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 3 აპრილის № 251 დადგენილების დანართი № 2

საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მასალების ფორმირების ძირითადი პრინციპები

1. საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მასალების ფორმირება და აღნიშნული წიგნის მთელი მომზადება უნდა მიმდინარეობდეს სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მათი დებულებანი გაშუქდეს, დაკონკრეტდეს და განვითარდეს რესპუბლიკური კანონმდებლობის სხვა აქტებში სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

საქართველოს სსრ კანონთა წიგნის შექმნამ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებას, უზრუნველყოს კანონმდებლობის მეტი სტაბილურობა და მისაწვდომობა ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის, სოციალისტური კანონიერების შექმნაში განმტკიცება, მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გაძლიერება.

2. საქართველოს სსრ კანონთა წიგნში მოთავსდება საკანონმდებლო აქტები, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმნიშვნელოვანესი ერთობლივი დადგენილებანი და საქართველოს სსრ მთავრობის საერთო-ნორმატიული ხასიათის დადგენილებანი.

წიგნში შესატანი აქტების ნუსხას თითოეული კარის მიხედვით განსაზღვრავს საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გამომცემი კომისია.

3. სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად რესპუბლიკური კანონმდებლობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის, ერთსა და იმავე საკითხებზე სამართლებრივი აქტების სიმრავლის აღმოფხვრის და სამართლებრივ რეგულირებაში ხარვეზების შევსების მიზნით საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მომზადების პროცესში შემუშავდება და დადგენილი წესით შეტანილ იქნება დასამტკიცებლად საკოდიფიკაციო და სხვა გამსხვილებული აქტების პროექტები და ახალი აქტების პროექტები.



4. საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მასალების ფორმირებისას კანონმდებლობის მოთავსებული მოქმედი კანონმდებლობის აქტების სრულყოფისათვის წიგნის კარების მიხედვით მომზადდება ამ აქტებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა პროექტები. პროექტებში გათვალისწინებულია წინადადებანი: აქტების სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის დებულებებთან შესაბამისობის შესახებ; შემდგომ კანონმდებლობასთან დაკავშირებით აქტებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ; დაქსაქსული ნორმების გაერთიანების შესახებ; იმ ცალკეული მუხლებისა და პუნქტების ძალადაკარგულად ჩათვისის შესახებ, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა.

5. საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მასალები ფორმირებულ იქნება როგორც ოფიციალურ წყაროებში გამოქვეყნებული, ისევე გამოუქვეყნებელი აქტებისაგან.

ოფიციალურ წყაროებსა და გამოცემებში წინათ შესაბამისი გრიფებით გამოუქვეყნებელი აქტების საქართველოს სსრ კანონთა წიგნში შეტანის აუცილებლობის კვალობაზე ისინი წიგნში მოთავსდება ასეთი აქტების გამოსაქვეყნებლად ნებართვის გაცემის დადგენილი წესის დაცვით.

6. საქართველოს სსრ კანონთა წიგნში არ შეიტანება დროებითი ხასიათის აქტები, ის აქტები, რომლებიც შეეხება ცალკეულ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, და სხვა აქტები, რომელთაც ზოგადი მნიშვნელობა არა აქვთ, აქტები, რომლებიც განეკუთვნება საბითუმო და საცალო ფასების და მომსახურების ტარიფების დონეს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების ოდენობას, მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის ოდენობას, სხვა აქტები, რომელთა მიხედვით თვით საკითხის ხასიათის გამო სამართლებრივი რეგულირება ხშირად იცვლება, და ა. შ.

საქართველოს სსრ კანონთა წიგნში არ შეიტანება აგრეთვე აქტები იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა შემდგომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების კომპეტენციას განეკუთვნა.

7. საქართველოს სსრ კანონთა წიგნში საკანონმდებლო აქტები განლაგდება საგნობრივი ნიშნის მიხედვით დამტკიცებული სქემის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს კარებსა და თავებს.

მასალების შინაარსისა და მოცულობის შესაბამისად დასაშვებია თავების დაყოფა უფრო წვრილ სტრუქტურულ ქვედანაყოფებად, რომელთაც მიეცემათ დასახელებანი და რიგითი ნომრები.

საქართველოს სსრ კანონთა წიგნის კარებში, თავებსა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში აქტები განლაგდება ისეთი სისტემით, რაც უზრუნველყოფს თემის თანამიმდევრულ განვითარებას, ამასთან პირველ რიგში გამოიყოფა კოდექსები და კანონმდებლობის სხვა ფუძემდებელი აქტები.

წიგნში აისახება მონაცემები იმ ოფიციალური წყაროების შესახებ, რომლებშიც პირველად გამოქვეყნდა მასში მოთავსებული აქტები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად შეიტანოს დაზუსტებანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების მიღების გეგმებში.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980-1985 წლების სახელმწიფო გეგმის პროექტების შედგენისას გაითვალისწინოს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-ლაბორატორიული კორპუსის, სპორტული ნაგებობების, დასასვენებელი ბაზის, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისა და პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის საცხოვრებელი სახლის დაპროექტებისა და მშენებლობისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა.

საქართველოს კვ
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი
 ე. შეშვარდნაძე.

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
 ზ. პატარაძე.

ქ. თბილისი, 1979 წ. 27 მარტი, № 224.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979
 წლის 27 მარტის № 224 დადგენილების
 დანართი № 1

ს ტ რ უ კ ტ შ რ ა

აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა

ფაკულტეტები და სპეციალობანი

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (რუსული, ქართული, აფხაზური სექტორები)
 - რუსული ენა და ლიტერატურა;
 - აფხაზური ენა და ლიტერატურა;
 - ქართული ენა და ლიტერატურა;
 - უცხო ენები;
 - ისტორია.

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი (რუსული, ქართული სექტორები)
 - ბ ი ო ლ ო გ ი ა;
 - გ ე ო გ რ ა ფ ი ა;
3. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა ფაკულტეტი (რუსული, ქართული სექტორები)
 - მათემატიკა;
 - ფ ი ზ ი კ ა.
4. ეკონომიკისა და სამართლის ფაკულტეტი (რუსული, ქართული სექტორები)
 - მრეწველობის დაგეგმვა;
 - საბუღალტრო აღრიცხვა;
 - სამართალმცოდნეობა.
5. პედაგოგიური ფაკულტეტი (რუსული, ქართული, აფხაზური სექტორები)
 - ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა;
 - დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდოლოგია;
 - ფიზიკური აღზრდა;
 - პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (სკოლამდელი).
6. მოსამზადებელი განყოფილება (100 კაცი).

საქართველოს კ. ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 27 მარტის № 224
დადგენილების დანართი № 2

აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალო-
ბანი და მიღების გეგმა (1979/80 სასწავლო წლისათვის)

სპეციალობის ნომერი	სპეციალობის დასახელება	მიღების გეგმა			სულ
		წლის განყოფილება	საღამოს განყოფილება	დაუსწრებელი განყოფილება	
1702	მრეწველობის დაგეგმვა	25	—	—	25
1737	საბუღალტრო აღრიცხვა	50	—	—	50
1801	სამართალმცოდნეობა	25	—	—	25
2101	რუსული ენა და ლიტერატურა	25	25	25	75
2102	აფხაზური ენა და ლიტერატურა	25	—	25	50
2102	ქართული ენა და ლიტერატურა	25	25	25	75
2103	უცხო ენები	25	—	—	25
2108	ისტორია	20	—	25	45
2104	მათემატიკა	25	25	—	50
2105	ფიზიკა	50	25	—	75
2106	ბიოლოგია	20	—	—	20
2107	გეოგრაფია	20	—	20	40
2114	ფიზიკური აღზრდა	20	—	—	20
2120	ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა	25	—	—	25
2121	დაწეებითი განათლების პედაგო- გია და მეთოდოლოგია	25	—	25	50
2110	პედაგოგია და ფსიქოლოგია (სკო- ლამდელო)	25	—	—	25
	სულ	430	100	145	675

24 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ი. ჯანელიძის ხსოვნის უკვდავოვნის შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ.-მ. დვლილი წევრის ალექსანდრე ილარიონის ძე ჯანელიძის ხსოვნის უკვდავოვნის შესახებ. ამასთან დაკავშირებით:

ა) მიეკუთვნოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ი. ჯანელიძის სახელი:

— ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას;

— სოფელ ნიკორწმინდის საშუალო სკოლას;

ბ) აიგოს ქალაქ თბილისში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის ეზოში და განსვენებულის საფლავზე ა. ი. ჯანელიძის ძეგლები.

დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს გამოყოს ძეგლების აგებისათვის საჭირო ასიგნებანი;

დაწესდეს:

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საბრემიო ფონდის ხარჯზე ა. ი. ჯანელიძის სახელობის ერთი პრემია 2.500 მანეთის ოდენობით, რომელიც მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ საუკეთესო ნამუშევრებს გეოლოგიის დარგში;

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე ა. ი. ჯანელიძის სახელობის ერთი სტიპენდია გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის;

— საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე ა. ი. ჯანელიძის სახელობის ერთი სტიპენდია გეოლოგიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

საქართველოს კვ
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. შავარდნაძე.

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიძე.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა ამხანაგობის რეკომენდაციური საბჭოს დადგენილებები

25 საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშათა და მოსამსახურეთა მებაღეობის ამხანაგობის ტიპობრივი წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშათა და მოსამსახურეთა მებაღეობის ამხანაგობის თანდართული ტიპობრივი წესდება.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
წ. კატარიაძე.

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
თ. მოსაშვილი.

ქ. თბილისი, 1979 წ. 20 მარტი, № 171.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1979 წლის 20 მარ-
ტის № 171 დადგენილებით

ტიპობრივი წესდება

საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშათა და მოსამსახურეთა მებაღეობის ამხანაგობისა

I. ზოგადი დებულებანი

1. _____
(საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება)
_____ მუშები და მოსამსახურეები ნებაყოფ-
ლობით ერთიანდებიან მებაღეობის ამხანაგობაში, რომელსაც ეწოდება _____
_____ და მდებარეობს _____
_____, რათა მოაწიონ კოლექტიური ბაღი საქართველოს სსრ მი-

ნისტრთა საბჭოს 197— წლის „——“ ————— № —————

დადგენილებით დამტკიცებული ————— სახალხო დეპუ-

ტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის 197— წლის „——“ —————

№ ————— გადაწყვეტილებით გამოყოფილ ————— პექტარ

ფართობზე.

2. მებაღეობის ამხანაგობის, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ძირითადი ამოცანაა შექმნას კოლექტიური ბაღი იმ მიზნით, რომ დამატებით დააკმაყოფილოს მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების მოთხოვნილებანი ხილ-ზე, კენკრაზე, ბოსტნეულზე, უზრუნველყოს მუშა-მოსამსახურეთა დასვენება, მათი ჯანმრთელობის განმტკიცება, აგრეთვე შექმნას მოზარდთა შრომითა აღზრდისათვის საჭირო პირობები.

3. მებაღეობის ამხანაგობა შეიქმნება საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან იმ პირობით, თუ სულ ცოტა 20 პირს სურს გახდეს ამხანაგობის წევრი. თუ მსურველთა რაოდენობა ნაკლებია, ნებადართულია საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოოპერირება.

4. მებაღეობის ამხანაგობა მუშაობს იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელთანაც შექმნილია ამხანაგობა, და კოლექტიურა ბაღისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის მიხედვით სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო საბჭოს აღმასკომის და შესაბამისად პროფკავშირთა საოლქო (რესპუბლიკური) საბჭოს კონტროლით.

მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობას კოორდინაციას გაუწევენ იმ რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობენ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, სადაც შეიქმნა ეს ამხანაგობანი.

სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტს უფლება აქვთ გააუქმონ ამხანაგობის გამგეობისა და საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილებანი.

იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში, რომელთანაც შექმნილია იყო მებაღეობის ამხანაგობა, ხელმძღვანელობას მებაღეობის საქმიანობისადმი განახორციელებენ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის მიხედვით სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი და პროფკავშირთა საბჭო.

5. მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის მოსაწყობად საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მიწის ნაკვეთები გამოეყოფათ დადგენილი წესით.

კოლექტიური ბაღებით დაკავებული მიწის ნაკვეთები მებაღეობის ამხანაგობათა სარგებლობაშია.

6. კოლექტიური ბალისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ათვისება და მასზე მშენებლობა შეიძლება დააწყოს მხოლოდ კოლექტიური ბალის ტერიტორიის ორგანიზაციის პროექტის შემუშავების, მიწათმოწყობის სამსახურთან, საარქიტექტურო-სამშენებლო, სანიტარიული და სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმების და სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ.

პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მეზაღვების ამხანაგობამ სწორად განახორციელოს კოლექტიური ბალის ტერიტორიის ორგანიზაციის პროექტი ნატურაში, ეკისრებათ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებს.

7. კოლექტიური ბალის ტერიტორიის ორგანიზაციის პროექტის შესაბამისად კოლექტიური ბალისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კოლექტიურად ან იგი განაწილდეს ამხანაგობის თითოეული წევრისათვის 600 კვადრატულ მეტრამდე ფართობის ნაკვეთებად.

მეზაღვების ამხანაგობის წევრთათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები შეიძლება გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან მწვანე ნარგავებით.

კოლექტიური ბალით სარგებლობის წესს განსაზღვრავს ამხანაგობის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია).

8. ყველა სამუშაო კოლექტიურ ბალში შესრულდება ამხანაგობის წევრთა და მათი ოჯახების წევრთა პირადი შრომით, გარდა ისეთი სამუშაოებისა, რაც სპეციალისტთა მოწვევას მოითხოვს.

ძირითადი სამუშაოები კოლექტიურ ბალებში (ნიდავის მომზადება, ბალისა და ქარსაფარი ზოლების გაშენება, ბრძოლა ხეხილის, კენკრეულისა და სხვა ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ, ტერიტორიის მოვლა) შესრულდება კოლექტიურად ერთიანი გეგმის მიხედვით.

საერთო კრების (კონფერენციის) მიერ მიღებული წესების შესაბამისად ბალის მოვლის მიმდინარე სამუშაოები შესრულდება კოლექტიურად ან მეზაღვების ამხანაგობის თითოეული წევრის მიერ მისთვის გამოყოფილ ნაკვეთზე.

9. მეზაღვების ამხანაგობას ნება ეძლევა კოლექტიური ბალის ტერიტორიის ორგანიზაციის პროექტის შესაბამისად ააშენოს ტიპობივი პროექტების მიხედვით საერთო სარგებლობის პანსიონატები, ხილსაცავები და სხვა შენობა-ნაგებობანი, ხოლო ამხანაგობის წევრებმა — საბაღე საზაფხულო სახლები (გათბობა მყარი სათბობით) ოჯახზე 35 კვადრატულ მეტრამდე და სხვა შენობა-ნაგებობები, 15 კვადრატულ მეტრამდე ფართობის სამეურნეო ბლოკი (მასში სადგომის მოსაწყობად ან ბოცვრებისა და შინაური ფრინველის მოვლა-შესანახად, სამეურნეო ინვენტარის მოსათავსებლად), 8 კვადრატული მეტრი ფართობის სარდაფის სადგომი, 18 კვადრატული მეტრი ფართობის ფარდული ავტომანქანისათვის, 15 კვადრატული მეტრი ფართობის უთბობი სათბური, აგრეთვე შხაპი და ტუალეტი.

10. მეზაღვების ამხანაგობის წევრებს ნება ეძლევათ აყოლიონ ამხანაგობის წესდებით განსაზღვრული პირობებით დათქმული რაოდენობის ფრინველი, ბოცვერი და ფუტკარი, მაგრამ არა უმეტეს 20 ფრთა ფრინველი, 20 ბოცვერი



მოზარდეულთან ერთად და 10 ფუტკრის ოჯახი, იმ ვარაუდით, რომ აღცხლულად დაიცვან ყველა ვეტერინარულ-სანიტარიული წესი და ხელი არ შეუშალონ ნორმალურ დასვენებას მეზობელ საბაღე ნაკვეთებზე.

11. მებაღეობის ამხანაგობა არის იურიდიული პირი, შეუძლია დადოს ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული, წესდებით გათვალისწინებული ხელშეკრულებანი, უფლება აქვს შეიძინოს ინვენტარი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, საშენი მასალები შენობა-ნაგებობათა ასაშენებლად, შეიძლება იყოს მოსარჩლე და მოპასუხე სასამართლოში, სახელმწიფო არბიტრაჟში.

12. მებაღეობის ამხანაგობა მოქმედებს წესდების საფუძველზე. წესდება შემუშავდება ტაობრივი წესდების საფუძველზე და ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) მიერ მისი განხილვისა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის და პროფკავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებით დამტკიცების შემდეგ რეგისტრირებულ უნდა იქნეს იმ სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში, რომლის ტერიტორიაზეც გამოყოფილია ნაკვეთი კოლექტიური ბალისათვის. ამხანაგობა წესდებით გათვალისწინებულ უფლებებს შეიძენს მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

13. მებაღეობის ამხანაგობას აქვს თავისი მიმდინარე ანგარიში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში ან შემნახველ სალაროში, შტამპი და მრგვალი ბეჭედი, რომელზეც აღნიშნულია მისი სახელწოდება და იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სახელწოდება, რომელთანაც შექმნილია ამხანაგობა.

14. თავისი ვალდებულებებისათვის მებაღეობის ამხანაგობა პასუხს აგება მთელი კუთვნილი ქონებით. ამხანაგობის წევრებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამხანაგობის ვალდებულებებისათვის. ამხანაგობა არ აგებს პასუხს თავის წევრთა ვალდებულებებისათვის, თუნდაც ეს ვალდებულებანი დაკავშირებული იყოს კოლექტიური მებაღეობის გაძღოლასთან.

15. მებაღეობის ამხანაგობებისათვის ორგანიზაციული და აგროტექნიკური დახმარების გაწევის მიზნით შექმნილია საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭო და მებაღეთა ნებაყოფლობითი საზოგადოება, რომლებიც მოქმედებენ დადგენილი წესით დამტკიცებული დებულებების თანახმად.

II. მებაღეობის ამხანაგობის წევრობა

16. მებაღეობის ამხანაგობის წევრები შეიძლება იყვნენ 18 წლის ასაკს მიღწეული მუშები და მოსამსახურეები, ის პენსიონერები, რომლებიც ადრე მუშაობდნენ მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, აგრეთვე სხვა მოქალაქენი, რომლებიც მიიღებიან დადგენილი წესით ამხანაგობის ცალკეულ წევრთა გავლის შემდეგ.

ამხანაგობის წევრად მიღებისას უპირატესობა მიეცემათ დიდი სამამულო ომის მონაწილეებსა და შრომის ვეტერანებს, აგრეთვე მუშებს და მოსამსახურეებს, რომელთაც ჰყავთ სამი და მეტი შვილი.

16363



პენსიაზე გასული მუშები და მოსამსახურეები, იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში, სადაც ისინი ადრე მუშაობდნენ, მებაღეობის ამხანაგობის წევრებად მიღების საკითხებზე მიმართავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი გამოუყოფენ მუშებს, მოსამსახურეებს, პენსიონერებს სარგებლობისათვის დაწესებული ფართობის მიწის ნაკვეთებს ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელიც ამავე დროს არის გადაწყვეტილება ამხანაგობის წევრებად მათი მიღების შესახებ. მებაღეობის ამხანაგობის გამგეობა ამ გადაწყვეტილების საფუძველზე გააფორმებს ამხანაგობის წევრად მიღებას (მებაღეთა სიაში შეტანა, მებაღის საწევრო წიგნაკის გაცემა და სხვ.).

მებაღეობის ამხანაგობის წევრებად არ შეიძლება იყვნენ:

— პირები, რომლებიც სარგებლობენ საკარმიდამო ნაკვეთებითა და აგარაკებით პირადი საკუთრების უფლებით ან საავარაკო-სამშენებლო კოოპერატივში;

— იმ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების წევრები, რომლებიც მებაღეობის ამხანაგობის წევრები არიან.

17. მებაღეობის ამხანაგობის წევრს უფლება აქვს:

ა) კოლექტიური ბაღის ტერიტორიის ორგანიზაციის დამტკიცებული პროექტის შესაბამისად აავოს დამტკიცებული პროექტების მიხედვით მისთვის გამოყოფილ ნაკვეთზე საზაფხულო ტიპის საბაღე სახლი და სხვა ნაგებობანი, ტიპობრივი წესდების მე-9 პუნქტის თანახმად;

ბ) მონაწილეობა მიიღოს ამხანაგობის წევრთა საერთო კრებებზე (კონფერენციებზე) გატანილი საკითხების განხილვაში;

გ) არჩიოს და არჩეულ იქნეს ამხანაგობის მართვის ორგანოებში;

დ) დააყენოს ამხანაგობის გამგეობის წინაშე საკითხები და შეიტანოს წინადადებანი ამხანაგობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

ე) გაასაჩივროს უთანხმოების შემთხვევაში გამგეობის გადაწყვეტილება ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) წინაშე, ხოლო ამ უკანასკნელის დადგენაზე — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ან სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის წინაშე, თუ მებაღეობის ამხანაგობა თავის საქმიანობას მისი ხელმძღვანელობით ახორციელებს;

გაასაჩივროს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის გადაწყვეტილება ზემდგომ პროფკავშირულ ორგანოში, მათ შორის პროფკავშირთა საბჭოშიც, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა, ხოლო სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება — სახალხო დეპუტატთა ზემდგომი საბჭოს აღმასკომში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა;

ვ) პირადად მიიღოს მონაწილეობა საკითხების განხილვაში, როცა ამხანაგობის გამგეობას ან ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას (კონფერენციას) გამოაქვს გადაწყვეტილება მისი საქმიანობის ან ყოფაქცევის შესახებ;

ზ) მიჰყიდოს დადგენილი წესით დამამზადებელ ორგანიზაციებს მისთვის გამოყოფილ საბაღე ნაკვეთზე მოწეული სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტები;

თ) გავიდეს ამხანაგობის შემადგენლობიდან.

18. მებაღეობის ამხანაგობის წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები კოლექტიური მებაღეობის შესახებ, შეასრულოს წესდება, სახალხო დემუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებანი, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებანი, ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) დადგენილებანი, ამხანაგობის გამგეობის გადაწყვეტილებანი. ამხანაგობის წევრებს დაეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა წესდების მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის;

ბ) გადაიხადოს შესასვლელი, საწვერო და მიზნობრივი შესატანები ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას (კონფერენციის) მიერ დაწესებული ოდენობით და ვადებში;

გ) მონაწილეობა მიიღოს თავისი პირადი შრომითა და თავისი ოჯახის წევრთა შრომით კოლექტიურ ბაღში განსახორციელებელ საერთო ღონისძიებებში;

დ) დაიცვას სანიტარიულ-ვეტერინარული და ხანძარსაწინააღმდეგო წესები, შეასრულოს ნარგავების მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, დროულად განახორციელოს ზეხილის, კენკრულის, ყვავილებისა და დეკორატიული ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი;

ე) დარგას ზეხილი საბაღე ნაკვეთის საზღვრიდან არანაკლებ 3 მეტრ მანძილზე, ბუჩქნარი — არანაკლებ 1 მეტრ მანძილზე;

ვ) წესრიგში იქონიოს ნაკვეთი და მასზე არსებული ნაგებობანი, მისასვლელი გზები და კიუვეტები;

ზ) გაუფრთხილდეს ამხანაგობის საზოგადოებრივ ქონებას და მონაწილეობა მიიღოს კოლექტიური ბაღის დაცვაში;

თ) დაიცვას კოლექტიური ბაღის შინაგანაწესი და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები.

19. მებაღეობის ამხანაგობის წევრი მისი შემადგენლობიდან შეიძლება გაირიცხოს შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ იგი არ აითვისებს ბაღისათვის გამოყოფილ ნაკვეთს ორი წლის განმავლობაში;

ბ) თუ იგი სისტემატურად არ შეასრულებს ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) მიერ დამტკიცებულ აგროტექნიკურ ღონისძიებებს, სანიტარიულ-ვეტერინარულ და ხანძარსაწინააღმდეგო წესებს;

გ) თუ იგი უარს იტყვის ან სისტემატურად თავს აარიდებს კოლექტიური ბალის საერთო სამუშაოებში მონაწილეობას;

დ) თუ იგი უარს იტყვის საერთო კრების (კონფერენციის) მიერ დაწესებული ფულადი შესატანების (შესასვლელი, საწევრო და მიზნობრივი) გადახდაზე;

ე) თუ იგი სამუშაოდან დაითხოვეს დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის;

ვ) თუ იგი თვითნებურად გადასცემს სხვა პირებს კოლექტიური ბალის ნაკვეთს, აგრეთვე მასზე აშენებულ ნაგებობებს (მთლიანად ან ნაწილობრივ);

ზ) თუ იგი სისტემატურად დაარღვევს წესდებებს, შინაგანაწესს, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს;

თ) თუ იგი საბალე ნაკვეთზე აწარმოებს მშენებლობას უპროექტოდ ან პროექტის გადახვევით.

მებალეობის ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გარიცხვის საკითხი შეიძლება აღიძრას ამხანაგობის გამგეობის, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის, აგრეთვე ამხანაგობის საქმიანობისადმი კონტროლის განმხორციელებელი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ინიციატივით.

20. დადგენილება მებალეობის ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გარიცხვის შესახებ მიიღება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით ან სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, თუ მებალეობის ამხანაგობა თავის საქმიანობას მისი ხელმძღვანელობით ახორციელებს. მებალეობის ამხანაგობის გამგეობა ამ გადაწყვეტილების საფუძველზე გააფორმებს ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გასვლას (ამორიცხავს მებალეობა სიიდან, შეიტანს ამის შესახებ შესაბამის ჩანაწერს საწევრო წიგნაკში, მოახდენს ფულად ანგარიშსწორებას და სხვ.).

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ პროფკავშირულ ორგანოში, მათ შორის პროფკავშირთა საბჭოშიც, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა, ხოლო სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება — სახალხო დეპუტატთა ზემდგომი საბჭოს აღმასკომში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

21. მუშები და მოსამსახურეები სხვა ადგილზე მუდმივ საცხოვრებლად გადასვლის და საკარმიდამო ნაკვეთის მიღების ან პირადი საკუთრების უფლებებით ანდა სააგარაკო-სამშენებლო კოოპერატივში აგარაკის შექმნის შემთხვევაში გადიან მებალეობის ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან.

22. მებალეობის ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გასულ ან გარიცხულ პირებს გამგეობის მეშვეობით დაუბრუნდებათ ნარკვევების, ნაგებობების ღირებულება და საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობების, წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების ქსელების მშენებლობისათვის, გზების მოწყობისა

და კოლექტიური ბალის ტერიტორიის შემოღობვისათვის ვალდებული მიხედობ-
 რივი შენატანები ამ შენობა-ნაგებობათა გაცვეთის გათვალისწინებით, მას
 შემდეგ, რაც მიიღება შესაბამისი სახსრები ამხანაგობის ახალმიღებული წევ-
 რისაგან.

საბალე ნაკვეთზე არსებული ნაგებობებისა და ნარგავების შესაფასებლად
 საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია და პროფკავშირის
 კომიტეტი შექმნიან კომისიებს ადმინისტრაციის წარმომადგენლის (თავმჯდო-
 მარე), პროფკავშირის კომიტეტისა და ამხანაგობის გამგეობის წევრთა შემად-
 გენლობით. კომისიის უფლება აქვს მოიწვიოს სათანადო სპეციალისტები. კო-
 მისია გადაწყვეტს აღნიშნულ საკითხებს ამხანაგობის წევრთა შემადგენლო-
 ბიდან გასაყვანი პირის მონაწილეობით.

ნაგებობანი შეფასდება ცვეთის გათვალისწინებით შეფასების ნორმატი-
 ვების მიხედვით, ხოლო ხეხილის, კენკრეულის ნარგავების ღირებულება —
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული შეფასების ნორ-
 მების მიხედვით.

დაბრუნებას არ ექვემდებარება შესასვლელი და საწევრო შესატანები,
 ამხანაგობის საზოგადოებრივ ნაგებობათა რემონტისათვის, დაქირავებულ მუ-
 შათა და მოსამსახურეთა შენახვისა და სხვა საჭიროებისათვის გაწეული დანა-
 ხარჯები, წყლით, ელექტროენერჯითა და ავტოტრანსპორტით სარგებლობისა-
 თვის შეტანილი გადასახდელები.

23. ამხანაგობის გარდაცვლილ წევრთა ოჯახებს საწარმოს, დაწესებულე-
 ბის, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობ-
 ლივი გადაწყვეტილებით შეუნარჩუნდებათ კოლექტიური ბალის მიწის ნაკვე-
 თებით სარგებლობის უფლება, თუ გარდაცვლილის ოჯახის ერთ-ერთ წევრს
 სურს გახდეს მებალეობის ამხანაგობის წევრი.

24. ამხანაგობიდან გასულ ან გარიცხულ წევრთა ნაცვლად ადმინისტრა-
 ციისა და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის გადაწყვეტილებით ამხა-
 ნაგობის წევრებად მიიღებიან იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის
 მუშები და მოსამსახურეები, რომელთანაც შექმნილია ამხანაგობა.

თუ არ არიან ამხანაგობის წევრთა შემადგენლობაში შესვლის მსურველნი,
 დასაშვებია ამხანაგობაში სხვა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანი-
 ზაციის მუშათა და მოსამსახურეთა მიღება მათი ადმინისტრაციისა და
 პროფკავშირთა ადგილობრივი კომიტეტის შუამდგომლობით.

25. განქორწინების შემთხვევაში საბალე ნაკვეთი არ გაიყოფა. ერთ-ერთი
 განქორწინებული მეუღლის მიერ საბალე ნაკვეთით სარგებლობის საკითხს გა-
 დაწყვეტენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია და
 პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი.

26. მებალეობის ამხანაგობებსა და მათ წევრებს შორის, ამ უკანასკნელთა
 შორის, მათი ოჯახების წევრებსა და სხვა პირებს შორის წამოჭრილი სამოქა-
 ლაქო სამართლის დავა გადაწყდება სასამართლო წესით, გარდა ისეთი შემ-
 თხვევებისა, როცა ამ ტიპობრივი წესდებით საკითხების გადაწყვეტა ამხანა-
 გობის საერთო კრების (კონფერენციის) კომპეტენციას განეკუთვნება.

III. მებაღეობის ამხანაგობის მართვის ორგანოები

27. მებაღეობის ამხანაგობის საქმეებს მართავს ამხანაგობის წევრთა საერთო კრება.

დიდ ამხანაგობებში შეიძლება მოწვეულ იქნეს კონფერენციები. კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებსა და დელეგატთა არჩევის წესს განსაზღვრავს იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტი, რომელთანაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა.

საერთო კრება (კონფერენცია) მოიწვევა წელიწადში ორჯერ მაინც: რიგგარეშე საერთო კრება (კონფერენცია) შეიძლება მოწვეულ იქნეს ამხანაგობის წევრთა საერთო რაოდენობის მეოთხედის ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტის ანდა იმ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოთხოვნით, რომელსაც რეგისტრირებულია ამხანაგობის წესდება.

28. საერთო კრება (კონფერენცია) უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მას დაესწრება ამხანაგობის წევრთა (კონფერენციის დელეგატთა) საერთო რაოდენობის ორი მესამედი მაინც.

საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილებანი მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით ღია კენჭისყრით, გარდა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნებისა, რაც ტარდება ფარული კენჭისყრით.

29. მებაღეობის ამხანაგობის გამგეობის ან წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კოლექტიური მებაღეობის შესახებ კანონმდებლობასა და სხვა ნორმატიულ აქტებს, ტიპობრივ წესდებას, გაუქმდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით ან სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მიერ, თუ მებაღეობის ამხანაგობა თავის საქმიანობას მისი ხელმძღვანელობით ახორციელებს.

30. ამხანაგობის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია):

ა) განიხილავს მებაღეობის ამხანაგობის წესდებასა და შინაგანაწესს;

ბ) აირჩევს გამგეობასა და სარევიზიო კომისიას;

გ) წარუდგენს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და პროფკავშირის კომიტეტს რეკომენდაციებს მებაღეობის ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გარიცხვის შესახებ;

დ) დაამტკიცებს აგროტექნიკურ ღონისძიებათა გეგმას, შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას, დაქირავებულ მუშათა შტატებსა და ხელფასის ფონდს, გამგეობის წლიურ ანგარიშსა და სარევიზიო კომისიის აქტებს;

ე) დააწესებს შესავლელი, საწევრო და მიზნობრივი შესატანების ოდენობას;

ვ) განიხილავს და დაამტკიცებს ამხანაგობის ხარჯთაღრიცხვებს საერთო ღონისძიებათა განსახორციელებლად (ბალის შემოღობვა და დაცვა, მასივის კეთილმოწყობა, ბალსაცავი ზოლების გაშენება, წყალმომარაგება, ელექტრო-

ფიკაცია, კოლექტიური სარგებლობის გზების, ხიდების, საწარმოო საღვამეების მშენებლობა და ა. შ.);

ბ) დააწესებს დაქირავებულ მუშათა და მოსამსახურეთა რიცხოვნობას და მათი შრომის ანაზღაურების ოდენობას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით.

31. მებაღეობის ამხანაგობის მართვისათვის საერთო კრებებს (კონფერენციების) შუა პერიოდში აირჩევა ამხანაგობის გამგეობა, რომელიც მოქმედებს წესდების და ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) დადგენილებების საფუძველზე და მუშაობს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით.

გამგეობის წევრთა რიცხვს განსაზღვრავს საერთო კრება (კონფერენცია), მაგრამ იგი 7 კაცზე ნაკლები არ უნდა იყოს.

გამგეობა აირჩევა ორი წლის ვადით.

გამგეობის გადარჩევა შეიძლება მოეწყოს ვადადღე ამხანაგობის წევრთა მეოთხედის მოთხოვნით, აგრეთვე სარევიზიო კომისიის მოთხოვნით ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტის ანდა იმ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის რეკომენდაციით, რომელშიც რეგისტრირებულია ამხანაგობის წესდება.

32. მებაღეობის ამხანაგობის გამგეობა თავისი შემადგენლობიდან აირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, მდივანს, ხაზინადარს და შექმნის ამხანაგობის წევრთაგან აგროტექნიკურ, სამშენებლო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საფინანსო და სხვა კომისიებს, რომლებიც გამგეობის ხელმძღვანელობით მუშაობენ.

გამგეობა თავის მუშაობას წარმართავს საზოგადოებრივ საწყისებზე.

33. მებაღეობის ამხანაგობის გამგეობა:

ა) განაგებს ამხანაგობის ქონებასა და სახსრებს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში;

ბ) ორგანიზაციას უწევს ბალის გაშენების, მოვლის, ხეხილის, კენკრეულის ნარგავების მვენებელთა და დაავადებთა წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოთა შესრულებას, იზრუნებს ხეხილის, კენკრეული კულტურების სარგავი მასალის, საბაღე და სხვა ინვენტარის შესაძენად, ორგანული და მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების, საშენი მასალების შესაძენად და შესაზიდად;

გ) ორგანიზაციას უწევს ზოოვეტერინარულ დახმარებას ამხანაგობის იმ წევრთათვის, რომელთაც ჰყავთ ფრინველი, ბოცვრები და ფუტკარი;

დ) ორგანიზაციას უწევს შენობა-ნაგებობების, წყალმომარაგების, ელექტროფიკაციის ობიექტების აგების სამუშაოებს და ა. შ.

ე) კონტროლს უწევს ამხანაგობის წევრთა მიერ წესდების, სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებების, კოლექტიური ბალის შინაგანაწესის, ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილებების შესრულებას, ამხანაგობის წევრთა მიერ ბალის გაშენების, მოვლის, ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოთა

დროულად განხორციელებას, ნაგებობათა მშენებლობის დაწესებული პროექტებისა და ბაღის ტერიტორიის დამტკიცებული დაგეგმარების შესაბამისად;

ვ) თვალყურს ადევნებს ამხანაგობის წევრთაგან შესატანების დროულად შემოსვლას კრების (კონფერენციის) მიერ დაწესებულ ვადებში და მიიღებს ზემოქმედების ზომებს დაუდევარ გადამხდელთა მიმართ;

ზ) ადგენს ამხანაგობის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს, წლიურ, კვარტალურ და თვიურ საფინანსო გეგმებსა და ანგარიშებს.

გამგეობის ანგარიშები მუშაობის შესახებ მეზაღეობის ამხანაგობის წევრებს გაეცნობათ კრებამდე (კონფერენციამდე) ორი კვირით ადრე მიინც;

თ) ორგანიზაციას უწევს მეზაღეობის ამხანაგობის ქონების, ნარგავებისა და კოლექტიური ბაღის მოსავლის დაცვას;

ი) ყოველწლიურად ატარებს შენობა-ნაგებობებისა და ნარგავების ინვენტარიზაციას და მისი შედეგების შესახებ მოახსენებს ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას (კონფერენციას);

კ) აღრიცხავს ამხანაგობის წევრთა მიერ შესრულებულ საერთო სამუშაოებს და აღრიცხვის შედეგებს შეიტანს მათს პირად ანგარიშებში და საწევრო წიგნაკებში;

ლ) ორგანიზაციას უწევს ნამეტი ხილის, კენკრისა და ბოსტნეულის რეალიზაციას საბავშვო დაწესებულებებში, პიონერბანაკებსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური ვაერთიანება „საქსოფლდამზადების“ და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს შემსყიდველ ბუნქტებში;

მ) კონტროლს უწევს ამხანაგობის წევრთა მიერ საბაღე ნაკვეთების დროულად ათვისებას და მათზე ნაგებობების, ხეხილის, კენკრეულისა და ვაზის სწორად განლაგებას, აგრეთვე ნარგავების მოვლის სამუშაოთა შესრულებას;

ნ) ხელს უწყობს სახლზღვევის ორგანოებს მეზაღეობის ამხანაგობის შენობა-ნაგებობათა და მის წევრთა სავალდებულო სარგოული და ნებაყოფლობითი დაზღვევის სამუშაოთა განხორციელებაში;

ო) იღებს სამუშაოდ და დაითხოვს სამუშაოდან პირებს, რომლებიც შრომითი შეთანხმების მიხედვით მუშაობენ;

პ) იხილავს თავის სხდომებზე სარევიზიო კომისიის აქტებს და მიიღებს ზომებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

34. ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარეს ამხანაგობის წესდების საფუძველზე განსაკუთრებული მინდობილობის უქონლად უფლება აქვს დადოს ამხანაგობის სახელით ხელშეკრულებანი ამხანაგობის გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში, გასცეს დავალებანი შეთანხმებათა შესასრულებლად, გახსნას ანგარიში სახელმწიფო ბანკის დაწესებულებასა და შემნახველ საღაროში, წარმოადგინოს ამხანაგობა სასამართლოში, სახელმწიფო არბიტრაჟში, სხვა დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

35. გამგეობა მისცემს ამხანაგობის თითოეულ წევრს საწევრო წიგნაკს, რომელშიც შეიტანება მონაცემები შესასვლელი, საწევრო და მიზნობრივი შე-

სატანების გადახდის და ფაქტიურად შესრულებული საერთო სამუშაოებისათვის გაწეული შრომითი დანახარჯების შესახებ. საწვერო წიგნაკში შეტანილ ჩანაწერებს ხელს მოაწერენ ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე და ხაზინადარი.

36. მებაღეობის ამხანაგობის სარევიზიო კომისიას აირჩევს ამხანაგობის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია) ორი წლის ვადით არანაკლებ სამი კაცის შემადგენლობით.

37. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) წინაშე.

სარევიზიო კომისიის აქტებს დაამტკიცებს ამხანაგობის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია).

38. სარევიზიო კომისია მოვალეა:

ა) წელიწადში ერთხელ მაინც შეამოწმოს ამხანაგობის გამგეობის საფინანსო და სამეურნეო საქმიანობა და შემოწმების შედეგების შესახებ მოახსენოს ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას (კონფერენციას);

ბ) მისცეს დასკვნა გამგეობის წლიურ ანგარიშს და მოახსენოს ამის შესახებ ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას (კონფერენციას).

IV. ამხანაგობის სახსრები

39. მებაღეობის ამხანაგობის სახსრებს შეადგენს შესასვლელი, საწვერო და მიზნობრივი შესატანები, აგრეთვე სხვა შემოსავალი.

40. ამხანაგობის ფულადი სახსრები ინახება ამხანაგობის მიმდინარე ანგარიშზე სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში ან შემნახველ სალაროში. მოქმედი წესების თანახმად.

41. სახსრები იხარჯება ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარისა და ხაზინადარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების მიხედვით, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის თანახმად.

V. ამხანაგობის ლიკვიდაცია

42. მებაღეობის ამხანაგობა შეიძლება ლიკვიდირებულ იქნეს:

ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილებით, ამასთან აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ამხანაგობის წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ორი მესამედი;

საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით ან სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით.

43. მებაღეობის ამხანაგობის საქმეები ლიკვიდირებულ იქნება კანონით დადგენილი წესის მიხედვით.



26 რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, სამეურნეობათაშორისო, ავროსამრეწველო გაერთიანებების, მათი საწარმოო ერთეულების, საწარმოებოს, ორგანიზაციების, დაწესებულებების კოლმეურნეობების წასახალისებელი ფულადი პრემიების ოდენობის შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს 1978 წლის 9 მარტის № 70/34-20 დადგენილებით დამტკიცებული საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივების წასახალისებელი ფულადი პრემიების ოდენობის შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, სამეურნეობათაშორისო, ავროსამრეწველო გაერთიანებების, მათი საწარმოო ერთეულების, საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და კოლმეურნეობების კოლექტივების წასახალისებლად დაწესდეს ფულადი პრემიების ოდენობა „საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოო, სამეურნეობათაშორისო, ავროსამრეწველო გაერთიანებების, მათი საწარმოო ერთეულების, საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების კოლექტივების წასახალისებელი ფულადი პრემიების ოდენობის დაწესების შესახებ“ სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს 1978 წლის 9 მარტის № 70/34-20 დადგენილებით დამტკიცებული პრემიების სკალის 75 პროცენტის დონეზე.

2. ფულადი პრემიები გაიცეს „წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1977 წლის 20 სექტემბრის № 646 დადგენილებით გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე.

3. ეს დადგენილება სამოქმედოდ შემოიღება მოყოლებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1978 წლის შედეგების შეჯამებიდან.

4. ამ დადგენილების შემოღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1977 წლის 20 სექტემბრის № 646 დადგენილების ის ნაწილი, რომელიც შეეხება რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის ფულადი პრემიების ოდენობის განსაზღვრას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 დადგენილებით (დანართი № 2) დამტ-

კიცებული სკალის მიხედვით, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს 1978 წლის 9 მარტის № 70/34-20 დადგენილების № 5 დანართში ჩამოთვლილი სამინისტროებისა და უწყებებისადმი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კოლექტივებისათვის განკუთვნილი ფულადი პრემიების ოდენობის გარდა.

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიძე.

საქართველოს პროფკავშირთა
 რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
თ. მოსაზვილი.

ქ. თბილისი, 1979 წ. 16 აპრილი, № 246.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

27 ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის სამუშაოებში გაგზავნილი სპეციალისტებისათვის საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის შესახებ

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის სამუშაოებზე მალაკალიფიციური კადრების მიზიდვისა და შენარჩუნების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაუჯავშნონ დაკავებული ფართობი ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის სამუშაოებზე გაგზავნილ სპეციალისტებს, აგრეთვე შეუნარჩუნონ აღნიშნულ პირებს იმ ქალაქების კომუნალურ და საუწყებო სახლებში საცხოვრებელი ფართობის მიღების უფლება, სადაც ისინი ცხოვრობდნენ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის სამუშაოებზე გადაყვანამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 22 მარტი, № 161.



28 სახალხო განათლების საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

(ამონაკრები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჰითანავა**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1979 წ. 22 მარტი, № 179.

დ ა მ ბ ჰ ი ც ე ზ ა უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 22 მარტის № 179
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

სახალხო განათლების საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 22 ნოემბრის № 2389 დადგენილება „გერმანული, ინგლისური და ფრანგული ენების სწავლების შესახებ“.
2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 5 აგვისტოს № 1129 დადგენილება „საწარმოებში მომუშავე მოზარდთა სწავლების შესახებ“.
3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 22 სექტემბრის № 1376 დადგენილება „საბავშვო სახლების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და მე-10 პუნქტის გარდა.
4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 22 სექტემბრის № 1378 დადგენილება „შვიდი წლის ასაკის ბავშვთა სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ“.
5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 23 ნოემბრის № 1650 დადგენილება „საქართველოში სოფლის მეურნეობას მექანიზაციის სახელისნო სასწავლებლის მოწყობის შესახებ“.

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 16 აპრილის № 501 დადგენილება „მოზარდთა სკოლების მუშა-ახალგაზრდობის სკოლებად გადაკეთების შესახებ“.

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 5 აგვისტოს № 1851 დადგენილება „უმალეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიღების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

8. მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 30 აგვისტოს № 990 დადგენილება „უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 12 ოქტომბრის № 1164 დადგენილება „ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლების მოწყობის შესახებ“.

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 11 აპრილის № 417 დადგენილება „უმალესი და საშუალო სასწავლებლებისათვის ფიზიკის მასწავლებელთა მომზადების ღონისძიებათა შესახებ“.

11. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 9 აგვისტოს № 975 დადგენილება „საქართველოს სსრ განსახკომის სკოლების ინსპექტორთა შესახებ“, მე-5 პუნქტის, მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის გარდა.

12. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 28 ივნისის № 790 დადგენილებისა „გამოსაშვები გამოცდების ჩასაბარებლად წარმოებაში მომუშავე და მუშა-ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლე პირთათვის დამატებითი შევბულების დაწესების შესახებ“, აგრეთვე ამ დადგენილების 1-ლი პუნქტი, მაგრამ შენარჩუნებულ იქნეს მისი მოქმედება სიმწიფის ატესტატის მისაღებად გამოცდებზე ექსტერნატის წესით დაშვებულ პირთა მიმართ.

13. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 15 სექტემბრის № 1156 დადგენილება „საქართველოს სსრ საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებსა, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში 1945 წელს ახალგაზრდობის გაწვევისა და სახელმწიფო შრომითი რეზერვების მომზადების შესახებ“.

14. 1-ლი და მე-2 პუნქტები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 22 იანვრის № 51 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახკომ-საბჭოს 1943 წლის 5 აგვისტოს დადგენილების მე-5 მუხლის შეცვლისა და მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისა და მოზრდილთა სკოლების ინსპექტორებზე საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 9 აგვისტოს დადგენილების გაგრძელების შესახებ“.

15. მე-3 და მე-5 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 6 ივნისის № 309 დადგენილებისა „სპეციალისტთა დაუსწრებელი მომზადების შესახებ“.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 8 თებერვლის № 111 დადგენილება „სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტროს საქართვე-



ლოს რესპუბლიკური სამმართველოს სახელოსნო, სარკინიგზო სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში შრომითი რეზერვების მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, მე-2, მე-6 და მე-8 პუნქტების გარდა.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 17 აპრილის № 326 დადგენილება „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საფაბრიკო-საქარხნო მოწოდების სკოლებისა და პროფტექნიკური სკოლის მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შემოღების შესახებ“.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 25 აპრილის № 372 დადგენილება „სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებლებთან უფროს პიონერ-ხელმძღვანელ-მასწავლებელთა მოსამზადებელი განყოფილების გახსნის შესახებ“.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 25 აპრილის № 364 დადგენილება „უდედამამოდ დარჩენილი ბავშვებისა და მოზარდების მოწყობის გაუმჯობესების შესახებ“.

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 6 აგვისტოს № 820 დადგენილება „საშუალო სკოლების დირექტორებისა და სახალხო განათლების რაიონული, საქალაქო და საოლქო განყოფილებათა სკოლების ინსპექტორების დანიშვნისა და დათხოვნის წესის შეცვლის შესახებ“.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 2 ნოემბრის № 1292 დადგენილება „სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს სახელოსნო, სარკინიგზო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში კვალიფიციურ მუშათა მომზადების გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა დენადობის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“, 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის გარდა.

22. მე-5 პუნქტი, მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 5 აპრილის № 335 დადგენილებისა „საბავშვო სახლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 28 აგვისტოს № 1160 დადგენილება „კოლმეურნეობებში საბავშვო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

24. მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 იანვრის № 117 დადგენილებისა „სიყრუისა და ყრუმუნჯობის წინააღმდეგ ბრძოლის და ყრუმუნჯთა და ყრუთა მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ“.

25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 6 მაისის № 560 დადგენილება „კოლმეურნეთა საწარმოო ბრიგადების ბრიგადირებისა და მეცხოველეობის ფერმათა გამგეების მომზადების შესახებ“.

26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 6 მაისის № 562 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნეობებისათვის მოანგარიშეთა კადრების მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 სექტემბრის № 1548 დადგენილება „შრომითი რეზერვების სამინისტროს სასწავლებლებსა და სკოლებში სახელმწიფო სახსრების უნაყოფოდ და არამომჭირნეობით ხარჯის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 5 სექტემბრის დადგენილების შესრულების ღონისძიებებზე“, მე-4 და მე-5 პუნქტების გარდა.

28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 23 დეკემბრის № 2038 დადგენილება „ქ. ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის შახტებში მუშა-ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გახსნის შესახებ“.

29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 5 აგვისტოს № 1057 დადგენილება „საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახელოსნო, სარკინიგზო და სპეციალურ სასწავლებლებში ახალი 1953-1954 სასწავლო წლისათვის მზადებისა და ახალგაზრდობის მიღების შესახებ“.

30. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 5 სექტემბრის № 1187 დადგენილებისა „მუშა-ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

31. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 იანვრის № 42 დადგენილება „საქართველოს სსრ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, მეცხოველეობის სამანქანო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მექანიზატორთა კვალიფიციური კადრების მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, მე-12 პუნქტის მეორე აბზაცის, მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი და მეორე აბზაცების და მე-17 პუნქტის გარდა.

32. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 იანვრის № 47 დადგენილება „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელთა მოსწავლეების ტანსაცმლითა და თეთრეულით უზრუნველყოფის შესახებ“.

33. 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და მე-7 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 18 მარტის № 210 დადგენილებისა „საბავშვო სახლების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

34. 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 27 აგვისტოს № 807 დადგენილებისა „საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდობის საწარმოო-ტექნიკური მომზადებისათვის ტექნიკური სასწავლებლის მოწყობის შესახებ“.

35. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 28 ოქტომბრის № 987 დადგენილება „კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში უმოქმედო სასოფლო ელექტროსადგურების აღდგენისა და ელექტროსადგურების, ელექტროქსელის და სატრანსფორმატორთა სადგურების ექსპლუატაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის 1-ლი და მე-2 ქვეპუნქტების, მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის 1-ლი ქვეპუნქტის მეორე აბზაცის გარდა.

36. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 8 ოქტომბრის № 940 დადგენილება „1954 წლის IV კვარტალში შრომითი რეზერვების საქართველოს

რესპუბლიკური სამმართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებსა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სახელოსნო სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ“.

37. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 18 იანვრის № 34 დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან სახელმწიფო სასოფლო ენერგოზედამხედველობის ინსპექციის მოწყობის შესახებ“.

38. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 მარტის № 127 დადგენილება „1955 წლის პირველ კვარტალში შრომითი რეზერვების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს სახელოსნო სასწავლებლებში ახალგაზრდობის მიღების შესახებ“.

39. მე-5 და მე-6 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 სექტემბრის № 556 დადგენილებისა „უდედამაოდ დარჩენილი ბავშვების აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

40. მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ოქტომბრის № 753 დადგენილებისა „ყრუ მოქალაქეთა საერთო და პროფესიული განათლების, შრომითი მოწყობისა და მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

41. მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 19 ოქტომბრის № 598 დადგენილებისა „უცხოელ ტურისტებთან მუშაობისათვის კადრების მომზადების შესახებ“.

29 სამრეცხაოების მომსახურების მოქმედი ტარიფების შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს :

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება მოსახლეობისათვის დაწესებულ ტარიფებთან ორგანიზაციებისათვის სამრეცხაოების მომსახურების მოქმედი ტარიფების გათანაბრების შესახებ.

გათანაბრებული ერთიანი ტარიფები ძალაში შევიდეს 1980 წლის 1 იანვრიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს აღნიშნული ცვლილება გაითვალისწინოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამი-

ნისტროს რეალიზაციის, მოგებისა და სახელმწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობის 1980 წლის გეგმაში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მკვეთრად გააუმჯობესოს სამრეცხაოებში თეთრეულის რეცხვის ხარისხი და აამაღლოს მოსახლეობის თეთრეულის ხვედრითი წილი ვარეცხილი თეთრეულის მთლიან მოცულობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1979 წ. 23 მარტი, № 186.

30 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 იანვრის № 32 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კაპიტალური მშენებლობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 იანვრის № 32 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 იანვრის № 32 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

„მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილების დანართის — „საკითხები, რომლებიც გადაცემულია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად“ — მე-14 პუნქტი, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილებით;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 3 იანვრის № 24 დადგენილება „საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 16 იანვრის № 53 დადგენილებით;

1-ლი პუნქტის მესამე-მეხუთე აბზაცები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 29 მაისის № 1803 დადგენილებისა „სოფლის ელექტრიფიკაციის განვითარების 1948-1950 წლების გეგმის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 18 ოქტომბრის № 1220 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ზ. პატარიაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარიძე**.

ქ. თბილისი, 1979 წ. 28 მარტი, № 194.

დამტკიცებულია
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1979 წლის 28 მარტის № 194 დადგენი-
 ლებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 იანვრის № 32 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 20 აპრილის № 340 დადგენილება „რესპუბლიკური და რაიონული მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობისა და აღდგენისათვის სამანქანო-საგზაო სადგურების მოწყობის შესახებ“.
2. მე-4 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 12 ივლისის № 792 დადგენილებისა „ბავშვთა დაწესებულებებისა და სამშობიარო სახლების ქსელის გაფართოების და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.
3. მე-3 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 24 იანვრის № 108 დადგენილებისა „1950-1954 წლებში საქართველოს სსრ სავაჭრო საწარმოების სამაცივრო მოწყობილობით მომარაგების შესახებ“.
4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 18 ივლისის № 885 დადგენილება „მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 1950 წლის 1 ივლისიდან შემოღებულ ფასებში გადაანგარიშების კოეფიციენტების შესახებ“.
5. მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 9 დეკემბრის № 1710 დადგენილებისა „თეატრალურ-სანახაობით საწარ-

- მოებსა და მუხებში სახანძრო დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.
6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 12 ივნისის № 716 დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ტიპობრივი დაპროექტების 1951 წლის გეგმის შესახებ“.
7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 13 თებერვლის № 193 დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მშენებლობისათვის ტიპობრივი დაპროექტების 1952 წლის გეგმის შესახებ“, გარდა მე-3 პუნქტისა.
8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 26 ნოემბრის № 1570 დადგენილება „პურსაცხოზი მრეწველობის შემდგომი განვითარების, პურის ხარისხის, ასორტიმენტისა და პურის ეპრობის გაუმჯობესების შესახებ“, გარდა მე-2 პუნქტისა.
9. მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 9 დეკემბრის № 1633 დადგენილებისა „საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ტელეფონიზაციის შესახებ“.
10. მე-7 პუნქტი და მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 12 თებერვლის № 122 დადგენილებისა „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მშენებლობისათვის ტიპობრივი დაპროექტების 1954 წლის გეგმის შესახებ“.
11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 აპრილის № 339 დადგენილება „სოფლის სკოლების მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ“.
12. მე-2 პუნქტი და მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 23 ივნისის № 376 დადგენილებისა „იმ ტიპობრივი დაპროექტების შესახებ, რასაც საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები ახორციელებენ 1955 წელს“.
13. 24-ე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 16 აპრილის № 179 დადგენილებისა „სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.
14. მე-8 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 10 ნოემბრის № 742 დადგენილებისა „მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.
15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 26 ნოემბრის № 899 დადგენილება „ცეცხლოვან-თხევადი მეტალურგიული წილის სახალხო მეურნეობაში გამოყენების შესახებ“.
16. მე-4 პუნქტის მეორე აზვაცი და მე-13 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 ოქტომბრის № 726 დადგენილებისა „1961-1965 წლებში არამადნეული საშენი მასალების მრეწველობის განვითარებისა და ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ“.
17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 11 აპრილის № 240 დადგენილება „კვების პროდუქტების საწარმოებლად გაუცხიმურებული რძის (მოხდალი რძე და დო) გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

18. მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 25 აგვისტოს № 608 დადგენილებისა „ავეჯის წარმოების შემდგომი გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

19. 1-ლი პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 20 დეკემბრის № 836 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 11 ოქტომბრის № 1058 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგადი დადგენილების შეცვლისა და გაუქმების შესახებ“.

31 სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების დაგეგმვის შესახებ

„სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 დეკემბრის № 1009 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 დეკემბრის № 1009 დადგენილებით დამტკიცებული დებულება სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების შესახებ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს უზრუნველყოს სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა მომარაგება სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობისა და სხვა სახეობათა სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებისათვის დადგენილი წესის მიხედვით, აგრეთვე სამანქანო-სატრაქტორო და საავტომობილო პარკების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების, გაერთიანებათა მეცხოველეობის კომპლექსებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში, ფერმებსა და სხვა ობიექტებში საწარმოო პროცესთა მექანიზაციის, ელექტრიფიკაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა მონტაჟის, გამართვის, რემონტისა და ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა შესრულება ხელშეკრულებების მიხედვით, გაერთიანებათა მექანიზებული, სატრანსპორტო და საწარმოო-ტექნიკური მომსახურების სხვა სამუშაოთა შესრულება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორ-

ცისა და რიის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საქსახსოფლტექნიკას“, ცეკავშირის გამგეობას წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული წინადადებანი სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებათა შექმნის შესახებ.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, „საქსახსოფლტექნიკას“, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს უზრუნველყონ საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა ფართო მონაწილეობა საწარმოო გაერთიანებათა საქმიანობაში.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 დეკემბრის № 1009 დადგენილებით:

— დაწესდა, რომ:

სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა ყველა მშენებარე, გასაფართოებელი და სარეკონსტრუქციო საწარმოო და არასაწარმოო ობიექტისა და ნაგებობის დაკომპლექტება მოწყობილობით, არმატურით, ხელსაწყოებით, ავტომატიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით, კაბელისა და სხვა ნაკეთობებით, აგრეთვე მათი უზრუნველყოფა მანქანებისა და მოწყობილობის ტექნოლოგიური კომპლექსებითა და სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებებით ხორციელდება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დადგენილი წესის მიხედვით;

იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს და განმტკიცდეს სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა სამეურნეო კავშირუბრთიერთობა იმ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც ემსახურებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, ეწევიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებას, შენახვას და გადამუშავებას, და საწარმოო, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხების გადასაწყვეტად ღონისძიებათა კოორდინაციისათვის აღნიშნულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სახელშეკრულებო პირობებით სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა საქმიანობაში (ისე, რომ არ შევიდნენ ამ გაერთიანებათა შემადგენლობაში);

სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა სტატისტიკური ანგარიშგება ცენტრალიზებულია ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 20 ივნისის № 658 დადგენილებით გათვალისწინებული წესით (სსრკ დადგ. კრებ., 1958 წ., № 12, მუხ. 93);

— დავვალთ:

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს საკავშირო პროფსაბჭოსთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად 3 თვის ვადაში განსაზღვროს თანამდებობრივი სარგოების მოქმედი სქემებისა და პრემირების დებულებების გამოყენების, მთლიანად საწარმოო გაერთიანების მთავარი საწარმოს ხელმძღვანელ მუშაკთა და მმართველობის აპარატის სპეციალისტთა შრომის ანაზღაურებისას დანამატებისა და სხვა გასაცემი თანხების დადგენის წესი, აგრეთვე გაერთიანების მმართველობის განცალკევებული აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურებისა და პრემირების წესი;

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტთან, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, საკავშირო პროფსაბჭოსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან და სსრ კავშირის სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად 6 თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა ცენტრალიზებული ფონდების შესახებ;

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს 6 თვის ვადაში განსაზღვროს სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა მიერ ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზებული განხორციელება-სათვის მათი დაფინანსებისა და დაკრედიტების წესი, აგრეთვე ამ საქმიანობისაგან გაერთიანებათა მიერ მიღებული მოგების განაწილებისა და გამოყენების წესი;

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაწილეობით განსაზღვროს სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების მოცულობა და მათ მიერ მისი წარდგენის წესი;

— მიზანშეწონილად ჩაითვალოს სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებანი და სამეურნეობათაშორისო საწარმოები (ორგანიზაციები) განთავსდეს სუფულენდნ ნაგებობათა გადასახადისა და მიწის რენტის გადახდისაგან;

— ნება დაერთოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გაუდიდონ სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების მთავარი საწარმოს ხელმძღვანელ მუშაკებსა და მმართველობის აპარატის მუშაკებს, რომლებიც ასრულებენ თავიანთ თანამდებობრივ მოვალეობებს მთლიანად გაერთიანების ხაზით და რომელთაც ხელფასი უწესდებათ შრომის ანაზღაურების ჯგუფის შესაბამისად, თანამდებობრივი სარგოები 10-15 პროცენტით პირველი ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა თანამდებობრივი სარგოების სქემით გათვალისწინებულ სარგოებთან შედარებით, თუ მთლიანად გაერთიანებაში ადგილი აქვს ამ

ჯგუფის საწარმოებისათვის დაწესებული მაჩვენებლების სულ ცოტა ორჯერ გადამეტებას

თანამდებობრივი სარგოები გაერთიანებებში, რომლებისთვისაც მტკიცდება ხელფასის საგვემო ფონდი, გადიდება ამ ფონდის ფარგლებში.

6. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილი წესით საქართველოს სსრ მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებიც ძალადაქარგულად უნდა ჩაითვალოს ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 30 მარტი, № 207.

დამტკიცებულია
 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978
 წლის 7 დეკემბრის № 1009 დადგენი-
 ლებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება არის ერთიანი საწარმოო-სამეურნეო კომპლექსი, რომელშიც საქმიანობა ხორციელდება წარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და კოოპერირების, მთელი რიგი საწარმოო-სამეურნეო ფუნქციებისა და რესურსების ცენტრალიზაციის საფუძველზე ამ საქმიანობის რაც შეიძლება მეტი ეფექტიანობის მიღწევის მიზნით.

გაერთიანების შემადგენლობაში ნებაყოფლობის საწყისებზე შედიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები (ორგანიზაციები), სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები, ავტოსატრანსპორტო და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციები (მთელი მათი საქმიანობის მიხედვით).

გაერთიანების შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ მხოლოდ კოლმეურნეობები, საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოები (ორგანიზაციები) და სხვა კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციები, მხოლოდ საბჭოთა მეურნეო-

ბები და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციები ან ერთდროულად კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციები.

2. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებები შეიძლება იყვნენ: დარგობრივი, რომლებიც შეიქმნება პროდუქციის მოცემული სახეობის მიხედვით სპეციალიზებულ მეურნეობათა ბაზაზე ერთი ან რამდენიმე ადმინისტრაციული რაიონის, ანდა ოლქის, მხარის, რესპუბლიკის ფარგლებში;

ტერიტორიული, რომლებიც, როგორც წესი, შეიქმნება ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში რამდენიმე სახეობის სასაქონლო პროდუქციის მწარმოებელ მეურნეობათა, აგრეთვე ცალკეულ სპეციალიზებულ მეურნეობათა ბაზაზე.

3. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება შეიქმნება იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის დაინტერესებულ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროსთან შეთანხმებით. უშუალოდ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისადმი დაქვემდებარებული საწარმო-ორგანიზაციების ბაზაზე გაერთიანება შეიქმნება სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროს, უწყების გადაწყვეტილებით.

ამასთან კოლმეურნეობები გაერთიანების შემადგენლობაში შედიან კოლმეურნეთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) გადაწყვეტილებით.

გადაწყვეტილებანი გაერთიანების შემადგენლობაში სხვა კოოპერაციულ საწარმო-ორგანიზაციათა შესვლის შესახებ მიიღება მათი წესდებების (დებულებების) შესაბამისად. სამეურნეობათაშორისო საწარმოები (ორგანიზაციები) გაერთიანების შემადგენლობაში შედიან სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მონაწილე მეურნეობების რწმუნებულ წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილებით, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციები — ზემდგომი ორგანოს თანხმობით.

სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების შექმნის წინ დაინტერესებული საწარმოები და ორგანიზაციები სამეურნეო ორგანოებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დახმარებით ყოველმხრივ შეისწავლიან შესაქმნელი გაერთიანების ორგანიზაციასთან და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის გაერთიანების საწარმოთა და ორგანიზაციათა შემადგენლობის, მისი საწარმოო სპეციალიზაციისა და სიმძლავრის საკითხებს რაიონის, ოლქის, მხარის, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული გეგმის გათვალისწინებით.

4. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების მთავარი ამოცანები ის არის, რომ

გაადიდოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა, შეასრულოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის სახელმწიფო გეგმები და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი, მოგების დავალებანი და სახელმწიფო გეგმის სხვა მაჩვენებლები, შეიტანოს გადასახდებები ბიუჯეტში, უზრუნველყოს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი თითოეული საწარმოსა და ორგანიზაციის დროული ანგარიშსწორება ბანკებთან და მიმწოდებლებთან;

თავიდან აიცილოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგები, გააუმჯობესოს მისი შენახვა და ტრანსპორტირება, განავითაროს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავება;

ყოველმხრივ აამაღლოს შრომის ნაყოფიერება და წარმოების ეფექტიანობა, გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი და შეამციროს მისი თვითღირებულება;

უზრუნველყოს წარმოების ეკონომიკურად დასაბუთებული სპეციალიზაცია და კონცენტრაცია გაერთიანების საწარმოებსა და ორგანიზაციებში, უფრო ეფექტიანად გამოიყენოს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი თითოეული საწარმოსა და ორგანიზაციის საწარმოო რესურსები და შესაძლებლობანი;

შეიმუშაოს ოპტიმალური გეგმები, უზრუნველყოს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების გეგმაზომიერი განვითარება, გაათანაბროს მათი განვითარების ეკონომიკური პირობები და სრულყოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ურთიერთობა გაერთიანების შიგნით;

ფართოდ გამოიყენოს მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიასა და ორგანიზაციაში;

უზრუნველყოს მიწის, ძირითადი ფონდების, მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენება;

რაციონალურად გამოიყენოს და აამაღლოს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა, შეამციროს მშენებლობის ვადები და ღირებულება, უზრუნველყოს კაპიტალური მშენებლობის, ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების დავალებათა დროულად შესრულება და საწარმოო სიმძლავრეთა სრულად გამოყენება;

სრულყოს დაგეგმვა, მართვა და სამეურნეო ანგარიში, დანერგოს შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაცია;

შეიმუშაოს და განახორციელოს გაერთიანების კოლექტივების სოციალური განვითარების ღონისძიებანი;

გააუმჯობესოს მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობები, შექმნას შრომის ყველაზე ხელშემწყობი და უსაფრთხო პირობები;

ყოველმხრივ განავითაროს სოციალისტური შეჯიბრება მაღალი საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევისათვის, უზრუნველყოს მშრომელთა ფართო მონაწილეობა წარმოების მართვაში;

განახორციელოს გარემო ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება.

5. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმო-ორგანიზაციები ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობასა და იურიდიული პირის უფლებებს. ამასთან საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციები, რომლებზეც ვრცელდება დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ ან დადგენილი წესით დამტკიცებული სხვა დებულება

მოცემული სახის საწარმოებისა და ორგანიზაციების შესახებ, ხელმძღვანელობენ ამ დებულებებით; კოლმეურნეობები ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებითა და მოცემულ კოლმეურნეობათა წესდებებით, სხვა კოლპერაციული საწარმოები და ორგანიზაციები — შესაბამისი წესდებებით (დებულებებით).

გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმო-ორგანიზაციები სარგებლობენ იმ უფლებებითა და კისრულობენ იმ მოვალეობებს, რომელთაც ითვალისწინებს ეს დებულება.

6. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება მთლიანად ან ნაწილობრივ აცენტრალიზებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების (სანაშენო საქმე, მეთესლეობა, აგროქიმიური მომსახურება და ზოგიერთი სხვა) შესრულებას.

აღნიშნული ფუნქციების ცენტრალიზებული განხორციელება ამასთან შეიძლება დაეკისროს გაერთიანებას, აგრეთვე გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებს, რომელთაც ამ შემთხვევაში დაეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა გაერთიანების სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების წინაშე ამასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის, მოქმედი კანონმდებლობით ან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ საფუძველზე.

7. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება, იყენებს რა მის ოპერატიულ გამგებლობაში ან სარგებლობაში გადაცემულ ქონებას, ახორციელებს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას გეგმის შესაბამისად სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, პასუხს აგებს და სარგებლობს ამ საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებებით, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და არის იურიდიული პირი.

8. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას აქვს წესდება, რომელსაც ამტკიცებს ზემდგომი ორგანო.

გაერთიანების წესდებაში აღნიშნული უნდა იყოს:

გაერთიანების დასახელება, მისი ადგილსამყოფელი (საფოსტო მისამართი) და ბანკების დაწესებულებებში გაერთიანების ანგარიშების რეკვიზიტები; იმ ორგანოს დასახელება, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარება გაერთიანება (ზემდგომი ორგანოსი);

გაერთიანების საქმიანობის საგანი და მიზანი;

მითითება იმის შესახებ, რომ გაერთიანებას აქვს საწესდებო ფონდი;

მითითება იმის შესახებ, რომ გაერთიანება მოქმედებს ამ დებულების საფუძველზე და არის იურიდიული პირი;

გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების ნუსხა, თითოეული მათგანის ადგილსამყოფელი, ბანკების დაწესებულებებში მათი ანგარიშების რეკვიზიტები და გაერთიანების მთავარი საწარმოს დასახელება.



წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს აგრეთვე გაეროიანების საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებული სხვა დებულებანი, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას.

გაერთიანება მის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს შეიძენს და იურიდიული პირი გახდება წესდების დამტკიცების დღიდან.

9. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებისა და მის შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებული დავალებანი და მითითებანი ზემდგომ ორგანოებს შეუძლიათ მისცენ მხოლოდ გაერთიანებას, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის ამ დებულებით, აგრეთვე მოცემული გაერთიანების წესდებით, მტკიცედ იცავს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას.

II. ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებისადმი

11. ხელმძღვანელობას სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებისადმი ახორციელებს გაერთიანების საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან თანამდებობის მიხედვით გაერთიანების თავმჯდომარე (გენერალური დირექტორი), მისი მოადგილეები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და გაერთიანებაში შემავალი სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე გაერთიანების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარე არის გაერთიანების თავმჯდომარე (გენერალური დირექტორი).

საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისათვის მიიწვევიან გაერთიანების მმართველობის აპარატისა და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების სპეციალისტები, აგრეთვე წარმოების მოწინავენი.

12. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების საბჭო:

დაამტკიცებს გაერთიანებაში წარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და კოოპერირების ღონისძიებებს;

განუსაზღვრავს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმებს;

დაამტკიცებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმო-ორგანიზაციებისათვის პერსპექტიული და წლიური გეგმების მაჩვენებლებს;

დაამტკიცებს მისთვის დაწესებულ საეგგმო დავალებათა შესაბამისად გაერთიანების განვითარების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, აგრეთვე დაამტკიცებს გაერთიანების წლიურ ანგარიშებს;

რეკომენდაციას მისცემს დადგენილი წესით დასამტკიცებლად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების მიერ გაერთიანების შიგნით გადასაცემი სოფლის მეურნეობისა და სხვა პროდუქციის საანგარიშსწორებო ფასების პროექტებს;

დაამტკიცებს გაერთიანების შიგნით ცალკეულ სამუშაოთა შესრულებისა და მომსახურების გაწევის ტარიფებს;

გადაწყვეტს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების თანხმობით გაერთიანებაში ცალკეულ საწარმო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების ცენტრალიზაციის საკითხებს;

განსაზღვრავს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი სხვა საწარმო-ორგანიზაციების თანხმობით გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების შესაქმნელად განკუთვნილი მათი სახსრების ოდენობას (მათი სპეციალიზაციის, რენტაბელობის დონისა და სხვა პირობების გათვალისწინებით), აგრეთვე გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების გამოყენების წესს.

აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა საბჭოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება. გარდა ამისა, გაერთიანების საბჭო განიხილავს შემდეგ საკითხებს:

გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმების, აგრეთვე სხვა საგეგმო მახვენებლების შესრულების უზრუნველყოფა;

შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, მართვის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და სამეურნეო ანგარიშის, შრომის ნორმირების, შრომის ანაზღაურების, მატერიალური და მორალური წახალისების ფორმებისა და სისტემების სრულყოფა;

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია და განვითარება, მოწინავე გამოცდილების შესწავლა და გავრცელება, მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის გაძლიერების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვა;

კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირება, საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების დაჩქარება;

გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების საწარმო-საფინანსო საქმიანობა;

გაერთიანების მმართველობის აპარატის სტრუქტურა და საშტატო რიცხოვნობა, მისი შენახვის ხარჯთაღრიცხვა;

კადრების შერჩევა და გამოყენება;

შრომის პირობებისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობა.

გაერთიანების საბჭოს შეუძლია აგრეთვე განიხილოს და გადაწყვიტოს გაერთიანების საქმიანობის სხვა საკითხები.

13. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების საბჭოს სსდომეტი

მოიწვევა საპიროების კვალობაზე, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც, ხოლო რიგგარეშე სხდომები — საბჭოს წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით. სხდომა უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მას დაესწრება საბჭოს წევრთა სულ ცოტა სამი მეოთხედი. გადაწყვეტილებანი მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით და სავალდებულოა გაერთიანებისა და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმო-ორგანიზაციების ადმინისტრაციისათვის.

14. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების საქმიანობისადმი ყოველდღიურ ხელმძღვანელობას ახორციელებს გაერთიანების თავმჯდომარე (გენერალური დირექტორი), რომელიც უზრუნველყოფს გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და პერსონალურად პასუხისმგებელია გაერთიანების საქმეთა ვითარებისა და საქმიანობისათვის.

15. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების ცალკეული დარგებისა და საქმიანობის სახეობებისადმი ორგანიზაციულ-ტექნიკურ ხელმძღვანელობას დადგენილი წესით მიღებულ გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე ახორციელებს მთავარი საწარმოს მმართველობის აპარატი. ცალკეულ შემთხვევებში ამ მიზნით შეიძლება შეიქმნას მმართველობის განცალკევებული აპარატი.

გაერთიანებებში, რომელთა შემადგენლობაში შედიან მხოლოდ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციები, და გაერთიანებებში, რომელთა შემადგენლობაში შედიან საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციები, მმართველობის განცალკევებული აპარატი შეიქმნება იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის დანტერესებულ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებთან შეთანხმებით. ხოლო საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებში — სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების ნებართვით, მმართველობის აპარატის შენახვისათვის დაწესებულ ზღვრულ ასიგნებათა და ამ მიზნით კოლმეურნეობების მიერ გამოყოფილი სახსრების ფარგლებში.

16. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე (გენერალური დირექტორი) არის მთავარი საწარმოს დირექტორი (თავმჯდომარე). მმართველობის განცალკევებული აპარატის მქონე გაერთიანებებში გაერთიანების თავმჯდომარეს (გენერალურ დირექტორს) აირჩევს გაერთიანების საბჭო.

გაერთიანების თავმჯდომარეს (გენერალურ დირექტორს) დაამტკიცებს ზემდგომი ორგანო.

17. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე (გენერალური დირექტორი):

განაგებს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად გაერთიანებისათვის მიჩენილ ქონებას;

დებს ხელშეკრულებებს, გახსნის სსრ კავშირის სახბანკის (სსრ კავშირის მშენბანკის) დაწესებულებებში გაერთიანების საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს;

რწმუნების გარეშე მოქმედებს გაერთიანების სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს ყველა საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, სასამართლოსა და არბიტრაჟის ორგანოებში, გასცემს რწმუნებებს (მათ შორის რწმუნების გადაცემის უფლებით);

გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და განკარგულებებს გაერთიანებისადმი;

აწესებს თავის მოადგილეთა, გაერთიანების სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა და მმართველობის აპარატის სპეციალისტთა კომპეტენციასა და თანამდებობრივ მოვალეობებს;

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და დაწესებული ნომენკლატურის ფარგლებში იღებს სამუშაოზე და ითხოვს სამუშაოდან გაერთიანების მმართველობის აპარატის მუშაკებს, გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციათა მუშაკებს, იყენებს ამ მუშაკთა მიმართ წახალისების ზომებს და ადებს მათ სასჯელს.

18. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარის (გენერალური დირექტორის) მოადგილეებს, გაერთიანების მთავარ სპეციალისტებს, მთავარ ბუღალტერს, იურიდიული განყოფილების უფროსს (უფროს იურისკონსულტს, იურისკონსულტს), აგრეთვე გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს, ზემდგომი ორგანოს მიერ დამტკიცებული თანამდებობათა ნომენკლატურის მიხედვით, თანამდებობაზე დანიშნავს და დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლებს ზემდგომი ორგანო გაერთიანების საბჭოს წარდგენით.

19. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარის (გენერალური დირექტორის) მოადგილეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ გაერთიანების სახელით, წარმოადგენენ მას სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, შეუძლიათ შეასრულონ სამეურნეო ოპერაციები და დადონ ხელშეკრულებანი რწმუნების გარეშე, აგრეთვე მისცენ რწმუნებანი გაერთიანების მუშაკებს.

20. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების განვითარების ტექნიკური და ეკონომიკური პრობლემის განსახილველად, წარმოების კოოპერირების, კონცენტრაციის, სპეციალიზაციისა და ტერიტორიული განლაგების პირობების შესასწავლად, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და დანერგვის თაობაზე რეკომენდაციების შესამუშავებლად გაერთიანებაში შეიძლება შეიქმნას ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭო ყველაზე კვალიფიციურ სპეციალისტთა და წარმოების მოწინავეთა შემადგენლობით.

ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას დაამტკიცებს გაერთიანების საბჭო.

21. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების ადმინისტრაცია შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს სხდომებზე მოახსენებს გეგმათა პროექტების, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების, გეგმების, კოლექტიურ-ხელშეკრულებათ ნაკისრი ვალდებულებების, კოლექტივის სოციალური გან-

ვითარების გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების, აგრეთვე გაერთიანების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის მიღებული ზომების შესახებ.

22. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების ადმინისტრაცია შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად განსაზღვრავს დადგენილი წესით საცხოვრებელ ფართობს გაერთიანების სახლებში, აგრეთვე სხვა სახლებში გაერთიანების განკარგულებაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობს.

23. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება კოლექტიურ ხელშეკრულებებს დადებს საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ განსაზღვრული წესით.

24. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებაში შეიქმნება სახალხო კონტროლის ორგანოები და საგუშაგოები. გაერთიანების ადმინისტრაცია მოვალეა გაუწიოს მათ ყოველმხრივი დახმარება მუშაობაში, განიხილოს მათი წინადადებანი და რეკომენდაციები და მიიღოს საჭირო ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

25. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების საქმიანობის შემოწმებასა და რევიზიებს ჩაატარებენ ზემდგომი ორგანო და სხვა ორგანოები მოქმედი კანონმდებლობით მათთვის დაკისრებული იმ ფუნქციების შესაბამისად, რომ კონტროლი გაუწიონ საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობას.

26. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება სისტემატურ კონტროლს გაუწევს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმო-ორგანიზაციათა საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარეს, წელიწადში ერთხელ მაინც ჩაატარებს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციების საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსურ რევიზიებს და გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ შემოწმებებს, დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიებს.

III. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების ქონება

27. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების ქონებას შეადგენს ძირითადი და საბრუნავი სახსრები, რომლებიც ქმნიან მის საწესდებო ფონდს, ცენტრალიზებული ფონდები, რეზერვები და გაერთიანებისათვის მიჩენილი სხვა ქონება.

გაერთიანების ქონება ეკუთვნის:

სახელმწიფოს — გაერთიანებაში, რომლის შემადგენლობაში შედიან საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციები;

საერთო ერთობლივი საკუთრების უფლებით სახელმწიფოს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ საწარმო-ორგანიზაციებს — გაერთიანებაში, რომლის შემადგენლობაში შედიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციები;

საერთო ერთობლივი საკუთრების უფლებით კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ საწარმო-ორგანიზაციებს — გაერთიანებაში, რომლის შემადგენლობაში შედიან კოლმეურნეობები და სხვა კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციები.

28. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების ძირითადი და საბრუნავი სახსრები შეიქმნება და შეიგება გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციებისათვის დადგენილი წესით.

29. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციების ქონება მათი საკუთრებაა.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებისათვის მიჩენილი ქონება, გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციების ქონება აისახება მათს დამოუკიდებელ ბალანსებზე, ხოლო გაერთიანებისათვის მიჩენილი ქონება — გაერთიანების დამოუკიდებელ ბალანსზე.

30. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში შედიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმო-ორგანიზაციები, შეადგენს შემდეგ კრებსით ბალანსებს:

სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა კრებსითი ბალანსი;

კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ საწარმო-ორგანიზაციათა კრებსითი ბალანსი;

სამეურნეობათაშორისო საწარმოთა კრებსითი ბალანსი.

31. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებაში შეიქმნება შემდეგ ცენტრალიზებული ფონდები:

მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდი;

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი;

მატერიალური წახალისების ფონდი;

სარეზერვო ფონდი.

გაერთიანებაში შეიძლება შეიქმნას აგრეთვე სხვა ცენტრალიზებული ფონდები და რეზერვები გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებში შექმნილი ანალოგიური ფონდებისა და რეზერვების ფარგლებში.

32. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს (ადიფერენცირებს) მოქმედი წესის შესაბამისად მატერიალური წახალისების ფონდში ანარიცხების ოდენობას, აგრეთვე გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციების მიხედვით მოგების მიღებისათვის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა პრემირების ანარიცხების ოდენობას ამ მიზნით მთლიანად გაერთიანებისათვის დაწესებული ანარიცხების ნორმების ფარგლებში.

33. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ცენტრალიზებული ფონდი შეიქმნება გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა წარმოების განვითარებისათვის გათვალისწინებული საკუთარი სახსრების ნაწილის ცენტრალიზაციის ხარჯზე, გაერთიანების მიერ საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების ცენტრალიზაციის დონის შესაბამისად. ამასთან საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებს შეუძლიათ ცენტრალიზებულ ფონდში შეიტანონ მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდის სახსრების ნაწილი, წარმოების განვითარებისათვის გათვალისწინებული მოგების, ძირითადი ფონდების აღსადგენად განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხებისა და სხვა საკუთარი სახსრების ნაწილი, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარმოების განვითარებისათვის, ხოლო კოლმეურნეობებს — კაპიტალური დაბანდებებისა და კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული ფონდის ნაწილი.

გაერთიანების სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდი და მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდი შეიქმნება გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების ანალოგიური ფონდების სახსრების ნაწილის ცენტრალიზაციის ხარჯზე.

გაერთიანების ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდი შეიქმნება საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების განკარგულებაში დატოვებული სარეზერვო ფონდის სახსრების ნაწილის, კოლმეურნეობების სარეზერვო ფონდის სახსრების ნაწილის და ზემდგომი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

34. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას შეუძლია შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით გადასცეს მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებულ ფონდში მატერიალურა წახალისების ცენტრალიზებული ფონდის თანხის 20 პროცენტამდე ოდენობის ფარგლებში.

35. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები მოხმარდება გაერთიანების მიერ ცენტრალიზებული ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევას — კაპიტალურ დაბანდბათა დაფინანსებას, საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების ღონისძიებათა განხორციელებას, ახალი ტექნიკის დანერგვას, წარმოების განვითარებასთან და სრულყოფასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების დაფინანსებას, გაერთიანების მიერ ამ მიზნით მიღებული სსრ კავშირის სახბანკის (სსრ კავშირის მშენბანკის) სესხების დაფარვას, აგრეთვე გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ცალკეული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების ანალოგიური ფონდების შევსებას.

36. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდის სახსრები მოხმარდება გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ცალკეული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების ანალოგიური ფონდების შევსებას მათგან დამოუკიდებელი მიზნების გამო მათი საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლების დროებით შემცირების შემთხვევაში, აგრეთვე გაერთიანების მმართველობის აპარატის მუშაკთა საბინაო პირობების გაუმჯობესებას, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას, მკურნალობასა და დასვენებას და სხვა მიზნებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით.

37. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდების სახსრები შეიძლება მიეცეთ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებს გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებით დაუბრუნებლად ან დაბრუნების პირობებით.

38. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები მოხმარდება გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ცალკეული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების ანალოგიური ფონდების შევსებას მათგან დამოუკიდებელი მიზნების გამო მათი საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლების დროებით შემცირების შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და გაერთიანების სხვა საწარმო-ორგანიზაციების მუშაკთა პრემირებას, გაერთიანების ხაზით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა პრემირებას, აგრეთვე მატერიალური დახმარების გაწევას, პრემირებას წლის განმავლობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის და წლის მუშაობის შედეგების მიხედვით გაერთიანების მმართველობის აპარატის მუშაკთათვის გასამრჯელოს მიცემას.

მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდების სახსრები ამ პუნქტში აღნიშნული მიზნებისათვის განაწილდება შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით.

39. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდის სახსრები მოხმარდება სტიქიური უბედურების შედეგად გამოწვეული ზარალის დაფარვას, სსრ კავშირის სახბანკის (სსრ კავშირის მშენბანკის) მიმართ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების არაუზრუნველყოფილი დავალანების გადახდას, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციების საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შევსებას.

40. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და

საბანაო მშენებლობის, მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდებისა და ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდის გამოყენებული სახსრები გადადის მომდევნო წელს და გაერთიანებას არ ჩამოერთმევა.

41. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებით გაერთიანებაში შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ ცენტრალიზებულ იქნეს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების თანხმობით ამ მეურნეობათა საამორტიზაციო ანარაჩებები, რომლებიც გათვალისწინებულია კაპიტალური რემონტისათვის.

42. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას შეუძლია:

ჩამოართვას გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებს ზედმეტი (ნორმატივის გადამეტებით) საბრუნავი სახსრები ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიური ანგარიშის მიხედვით მათი ვადაწილების წესით;

ვადანაწილოს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებს შორის ფაქტიურად მიღებული მოგების თავისუფალი ნაწილი, ძირითადი ფონდების მთლიანად აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარაჩებები (საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს ან ორგანიზაციის მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდში შესატანი ანარაჩებების გარდა) და სხვა სახსრები, რომლებიც შეიძლება ვადანაწილდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

43. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბანაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდის სახსრების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საბანაო მშენებლობისათვის განკუთვნილი სხვა სახსრების ხარჯზე აშენებულ მთელ საცხოვრებელ ფართობზე მოზინადრეთა შესახლება ზდება გაერთიანების ადმინისტრაციისა და შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს ერთობლივი გადაწყვეტილებით დამტკიცებული სიის მიხედვით, რაც შემდგომ ეცნობება სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

აღნიშნული სახსრების ხარჯზე აშენებულ სახლებში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები შეიძლება განლაგდეს მხოლოდ გაერთიანების ადმინისტრაციისა და შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს თანხმობით.

44. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება ვადასცემს უფასო სარგებლობისათვის გაერთიანების შესაბამის პროფკავშირულ ორგანოს გაერთიანების ბალანსზე არსებულ და მის მიერ იჯარით აღებულ შენობებს, სადგომებს, ნაგებობებს, ბალებსა და პარკებს, რომლებიც გათვალისწინებულია გაერთიანების მუშაკთა და მათი ოჯახების წევრთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის განსახორციელებლად, პიონერბანაკებს, აგრეთვე ტექნიკური პროპაგანდისათვის გათვალისწინებულ შენობებს, სადგომებსა და ნაგებობებს.



აღნიშნული ობიექტების სამეურნეო მოვლა-შენახვა; რემონტი, გაბრუნება, განათება, დაგვა-დალაგება, დაცვა და მოწყობა ხორციელდება გაერთიანების ხარჯზე. იმ შემთხვევებში, როცა ხსენებული ობიექტებით სარგებლობენ აგრეთვე სხვა გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები, ამ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიაღებინებენ წილობრივ მონაწილეობას ზემოაღნიშნულ ხარჯებში.

45. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება გადასცემს უფასო სარგებლობისათვის გაერთიანების შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მის ბალანსზე არსებულ სადგომებს, რომლებიც საჭიროა მათი მუშაობისა და მუშაკთა კრებების ჩასატარებლად, უზრუნველყოფს ამ სადგომების მოწყობას, გათბობას, განათებას, დაცვასა და დაგვა-დალაგებას, აგრეთვე გადასცემს აღნიშნულ ორგანიზაციებს უფასო სარგებლობისათვის სატრანსპორტო საშუალებებსა და კავშირგაბმულობის საშუალებებს.

46. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება გადასცემს უსასყიდლოდ ბალანსიდან ბალანსზე გაერთიანების პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გაერთიანების იმ სახსრების ხარჯზე შეძენილ კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სპორტულ ინვენტარს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამგვარი ქონების შესაძენად.

47. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება უფასოდ გადასცემს: მასთან არსებულ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს ან მათს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს — სადგომებს, ამასთან უზრუნველყოფს ამ სადგომების გათბობას, განათებას, წყალმომარაგებას, დაცვას, დაგვა-დალაგებასა და რემონტს;

გაერთიანების ბალანსზე არსებულ ან გაერთიანების ტერიტორიაზე მდებარე სასაიდლოებსა და საზოგადოებრივი კვების სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც გაერთიანების მუშაკთა კოლექტივებს ემსახურებიან, — სადგომებს, ამასთან უზრუნველყოფს ამ სადგომების გათბობას, განათებასა და წყალმომარაგებას.

48. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება თავისი ვალდებულებების გამო პასუხს აგებს მისთვის მიჩენილი იმ ქონებით, რომელზეც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება.

გაერთიანების პასუხისმგებლობა ზემდგომი ორგანოს და გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების ვალდებულებათა გამო, აგრეთვე ზემდგომი ორგანოს და გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი აღნიშნული საწარმო-ორგანიზაციების პასუხისმგებლობა გაერთიანების ვალდებულებათა გამო წარმოიშობა მხოლოდ სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით ანდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სახელმწიფო არ აგებს პასუხს გაერთიანების ვალდებულებათა გამო, ხოლო გაერთიანება არ აგებს პასუხს სახელმწიფოს ვალდებულებათა გამო.

49. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების მუშაკები მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ გაერთიანების ქონებას, განახორციელონ შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობის სწორი ექსპლუატაცია, დაიცვან მკაცრი ეკონომია მატერიალური საშუალებებისა და ფულადი სახსრების ხარჯვაში. აღნიშნული ქონების გაფუჭებისა და მატერიალურა ზარალის მიყენებისათვის დამნაშავე პირებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

IV. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების უფლება-მოვალეობანი

50. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება ამ დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე გაერთიანების წესდებით.

ზემდგომ ორგანოს შეუძლია მიანიჭოს გაერთიანებას დამატებითი უფლებანი ამ ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში.

გაერთიანებას შეუძლია მიანიჭოს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებს დამატებითი უფლებანი თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

უფლება-მოვალეობანი დაგეგმვის დარგში

51. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას ზემდგომი ორგანო დაუმტკიცებს საგეგმო დავალებებს მაჩვენებლების სისტემის მიხედვით, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმები დადგენილი წესით დაეგზავნება მთლიანად საწარმოო გაერთიანებას.

გაერთიანებისათვის დაგზავნილი საგეგმო დავალებათა საფუძველზე გაერთიანების საბჭო განუსაზღვრავს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმებს, რომლებსაც შემდგომ დამტკიცებენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული საბჭოები, რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობენ აღნიშნული მეურნეობანი.

დადგენილი წესით დამტკიცებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმები შეიტანება იმ რაიონების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების კრებისთ გეგმებში, სადაც მდებარეობენ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმო-ორგანიზაციები.

52. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების საბჭო სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმების დაგზავნასთან ერთად დაუმტკიცებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებს აგრეთვე სხვა საგეგმო დავალებებს დაწესებული მაჩვენებლების სისტემის მიხედვით.



გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების გეგმების ყველა დანარჩენ მაჩვენებელს გაერთიანების საბჭო არ დაამტკიცებს, არამედ შეიმუშავებენ თვით საწარმო-ორგანიზაციები და გამოიყენებენ შესაბამისი ორგანოები როგორც განაგარიშებულ მასალებს გეგმების შესადგენად.

53. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება უზრუნველყოფს:

მუშაობის ორგანიზაციას გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებში განვითარების პერსპექტიულა და წლიური გეგმების, აგრეთვე მათი ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმების შესადგენად;

გაერთიანების შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მუშაკთა კოლექტივის მონაწილეობით მთლიანად გაერთიანების განვითარების კრებსითი პერსპექტიული და წლიური გეგმების შედგენას და ზემდგომი ორგანოებისათვის წარდგენას;

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების მიერ გაერთიანების შიგნით გადასაცემი სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სხვა პროდუქციის საანგარიშსწორებო ფასების პროექტების შემუშავებას, აგრეთვე გაერთიანების შიგნით ცალკეულ სამუშაოთა შესრულებისა და მომსახურების გაწევის ტარიფების შემუშავებას. აღნიშნული საანგარიშსწორებო ფასები მტკიცდება სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოებისათვის (ორგანიზაციებისათვის) დადგენილი წესით, ხოლო ტარიფები — გაერთიანების საბჭოს მიერ;

გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა დადების ორგანიზაციას და კონტროლის განხორციელებას მათი შესრულებისადმი.

უფლება-მოვალეობანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში

54. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება უზრუნველყოფს მუშაობას იმისათვის, რომ ადგილობრივი პირობებისა და თითოეული მეურნეობის სპეციალიზაციის შესაბამისად წარმოებაში დაინერგოს მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემები და მეცხოველეობის განვითარების მეთოდები, პროგრესული ტექნოლოგია და საწარმოო პროცესთა კომპლექსური მექანიზაცია, ახალი ტექნიკა და ავტომატიზაციის საშუალებანი, მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, ახორციელებს ღონისძიებებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

55. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება:

უზრუნველყოფს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, შოაწყობს და გააკონტროლებს წარმოებაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას. გამომგონებლობისა და რაციონალიზა-

ციის განვითარებისათვის მუშაობას გაერთიანება განახორციელებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოებისა და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად;

უზრუნველყოფს იმ გამოგონებათა დროულად გამოვლენას, რომლებიც შექმნეს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმო-ორგანიზაციათა მუშაკებმა საწარმოო დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირში საავტორო მოწმობათა გასაცემად განაცხადების გაფორმებასა და დადგენილი წესით შეტანას.

56. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებაში შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ ცენტრალიზებულ იქნეს ხელშეკრულებათა დადება გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმო-ორგანიზაციებისათვის მეცნიერული გამოკვლევების და სხვა სახეობის საქმიანობის განახორციელებლად, რაც უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

უფლება-მოვალეობანი კაპიტალური მშენებლობის დარგში

57. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება:

მოაწყოებს კაპიტალურ მშენებლობას, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენებას, მათს პირველ რიგში წარმართვას ძირითადი ფონდების ტექნიკური კვლავლჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის, სახსრების კონცენტრაციას ასამუშავებელ მშენებლობებზე და ობიექტებზე;

მიიღებს ზომებს მშენებლობის ვადების შემოკლებისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირებისათვის, აგრეთვე უზრუნველყოფს მშენებლობის ხანგრძლივობის დაწესებული ნორმებისა და საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების ამოქმედების ვადების დაცვას;

უზრუნველყოფს ახალამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებას, მათი ათვისების ხანგრძლივობის ნორმებით გათვალისწინებულ ვადებში;

დამტკიცებს საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების მშენებლობათა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და სატიტულო სიებს (იმ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სატიტულო სიების გარდა, რომელთაც ამტკიცებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კოლმეურნობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმო-ორგანიზაციები) და მომავალი წლების მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის სამინისტრო (უწყება) ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

დამტკიცებს საიჯარო ორგანიზაციებთან შეთანხმებით შინასამშენებლო სატიტულო სიებს, აგრეთვე იმ სამუშაოთა ერთიან ფასდებებს, რომელთა საქირება მშენებლობის მსვლელობაში წარმოიშობა, თუ ამ სამუშაოთა ფასდებანი დამტკიცებულნი არ არის დადგენილი წესით;



დანიშნავს ზემდგომი ორგანოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრული წესით სახელმწიფო მიმღებ კომისიებს მშენებლობადამთავრებული საწარმოებისა და შენობა-ნაგებობების საექსპლუატაციოდ მისაღებად, დახურავს საწარმოთა და შენობა-ნაგებობათა მშენებლობის კრებსით ხარჯთაღრიცხვებს (კრებსით სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებს) მათი საექსპლუატაციოდ გადაცემის შემდეგ.

58. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებაში შეიძლება ცენტრალიზებულად შესრულდეს გაერთიანების შემადგენლობაში შემაჯალ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა საწარმო-ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით ამ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის განსახორციელებელი კაპიტალური მშენებლობის შემკვეთის ფუნქციები, დიფერენცირებულ იქნეს მშენებლობის წლების მიხედვით მშენებარე საწარმოთა დირექციების შენახვის ხარჯების ოდენობა ამ მიზნებისათვის ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული ხარჯების ფარგლებში.

59. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში გაუდიდოს წლის განმავლობაში, დადგენილი წესის დაცვით, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გეგმები გაერთიანების სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა მშენებლობებსა და ობიექტებს, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს, სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა იმ მშენებლობებისა და ობიექტებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გეგმების შემცირების ხარჯზე, რომლებიც ვერ ასრულებენ გეგმებს, მთლიანად გაერთიანების ხაზით კაპიტალურ დაბანდებათა წლიური მოცულობისა და სიმძლავრეთა, ობიექტებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების დავალებათა შეუმცირებლად.

60. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას შეუძლია ნება დართოს გაერთიანების შემადგენლობაში შემაჯალ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებს:

გადასცენ წყალმომარაგების, კანალიზაციის, გაზმომარაგების, თბომომარაგების, კავშირგაბმულობის ობიექტების, მისასვლელი გზებისა და სხვა ერთობლივი სარგებლობის ობიექტების მშენებლობაში, გაფართოებასა და რეკონსტრუქციაში წილობრივი მონაწილეობის წესით სახსრები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მიზნით კრებსით ხარჯთაღრიცხვებში (კრებსით სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებში) საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის და კაპიტალურ დაბანდებათა გეგმებში;

განახორციელონ ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსზე არსებული საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობის (გაზის მიყვანის ჩათვლით), კომუნალური მეურნეობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და კავშირგაბმულობის ობიექტების რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოები აღნიშნული ობიექტების კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე;

ჩამოსწვრონ ბალანსიდან შეწყვეტილი მშენებლობის დანახარჯები, განუხორციელებელი მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დანახარჯები და სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ხარჯები ზემდგომი ორგანოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაწესებული ოდენობით.

61. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას შეუძლია:

კაპიტალურ დაბანდებათა დაწესებული გეგმების გადამეტებით ადგილობრივი მატერიალური რესურსების არსებობისას სამეურნეო საქმიანობის წლიური შედეგების მიხედვით დამატებით გამოვლენილი ეკონომიკური სტიმულირების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები (მატერიალური წახალისების ფონდის გარდა) გამოიყენოს მანქანებისა და მოწყობილობის შესაძენად, ახალი ტექნიკის, მექანიზაციის დანერგვის, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, მოწყობილობის განახლებისა და მოდერნიზაციის, საწარმოო პროცესთა ავტომატიზაციის ღონისძიებათა და წარმოების განვითარებისა და ტექნიკური სრულყოფის სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად;

მიიღოს სსრ კავშირის სახბანკის კრედიტი ახალი ტექნიკის, მექანიზაციის დანერგვის, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების ღონისძიებათა და წარმოების ტექნიკური სრულყოფისა და განვითარების სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და ორგანიზაციის და მისი ხარისხის გაუმჯობესების ხარჯებისათვის. აღნიშნული კრედიტი გაიცემა გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში ორ წლამდე ვადით იმ პირობით, თუ დანახარჯები ანაზღაურდება ამ ვადაში მოგების ხარჯზე. ზემოხსენებული ღონისძიებებისათვის ხარჯები გაიღება გეგმის მიხედვით გაერთიანებისათვის გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადამეტებით გაერთიანების მიერ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოქმნის კვალობაზე;

განახორციელოს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, კომუნალური მეურნეობის ობიექტების, სამედიცინო და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, პიონერბანაკებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობა და გაფართოება სხვა გაერთიანებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად (წილობრივი მონაწილეობის წესით) გეგმის შესაბამისად ამ მიზნით გაერთიანებისათვის გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

62. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება უზრუნველყოფს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, მოწყობილობის მოდერნიზაციას, ტექნიკური ღონისა და მწარმოებლობის ამალუბას, აგრეთვე შენობა-ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

63. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას შეუძლია გადასცეს

დადგენილი წესით ხელშეკრულებათა საფუძველზე საიჯარო ორგანიზაციებს, მათი თანხმობით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა, აგრეთვე კაპიტალური რემონტის სამუშაოთა შესრულება.

უფლება-მოვალეობანი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და პროდუქციის რეალიზაციის დარგში

64. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება უზრუნველყოფს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, განახორციელებს კონტროლს გამოყოფილი ფონდების რეალიზაციისადმი, საჭირო შემთხვევებში გადაანაწილებს კოლმეურნეობების (მათი თანხმობით და საფასურით) და სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციების (დადგენილი წესით) მატერიალურ ფასეულობათა მარაგს, ვაკონტროლებს მინერალური სასუქების, საკვების, საშენი და საწვავ-საბოხი მასალების, სათადარიგო ნაწილების, ტარისა და სხვა მატერიალური რესურსების შენახვის სისწორესა და გამოყენების ეფექტიანობას, შეიმუშავებს მთლიანად გაერთიანების ხაზით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წლიური და კვარტალური გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ ზემდგომ ორგანოს, აგრეთვე წარუდგენს შესაბამის განაცხადებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოს.

გაერთიანება გაანაწილებს მის შემადგენლობაში შემავალ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებს შორის, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ საწარმო-ორგანიზაციებს შორის ზემდგომი ორგანოს ან მომარაგება-გასაღების შესაბამისი ორგანოს მიერ გაერთიანებისათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსების ფონდებს, აგრეთვე გადაანაწილებს საჭირო შემთხვევებში მეურნეობათა ამ ჯგუფების ფარგლებში აღნიშნულ ფონდებს მეურნეობების მიერ საწარმოო პროგრამისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების გათვალისწინებით.

65. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება მიიღებს ზომებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებში მოწყობილობის დროულად დადგმისა და ამოქმედებისათვის, მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების წარმოქმნის დაუშვებლობისათვის, აგრეთვე გაერთიანებაში არსებული ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების დადგენილი წესით რეალიზაციისათვის.

66. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლია შეიძინოს ფონდების გარეშე სხვა საწარმო-ორგანიზაციებისაგან უგანრიგებოდ რეალიზებული პროდუქცია, ზედმეტი მატერიალური ფასეულობანი და შეისყიდოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საჭირო საგნები საბითუმო და საცალო ვაჭრობის წესით, აგრეთვე გადასცეს შემკვეთის პირობებით სხვა საწარმო-ორგანიზაციებს, რომლებიც გაერ-

თიანების შემადგენლობაში არ შედიან, მთლიანად გაერთიანებისათვის ან გაერთიანების ცალკეული საწარმო-ორგანიზაციებისათვის პროდუქციის საწარმოებლად და სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო ფონდები და მატერიალური რესურსები.

67. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება უზრუნველყოფს მთლიანად გაერთიანებისა და მის შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებისათვის დაგზავნილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმების შესრულებას, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა შესრულებას, ხელს შეუწყობს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების პირდაპირი კავშირურთიერთობის განვითარებას სამრეწველო საწარმოებთან და სავაჭრო ორგანიზაციებთან და დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ უშუალოდ მეურნეობებში პროდუქციის მიღებაზე გადასვლას.

ბოსტნეულს, ხილს, კენკრას, ყურძენსა და სხვა მალფუჭებად პროდუქციას, აგრეთვე კარტოფილსა და ფრინველს, რომელსაც არ მიიღებენ დამამზადებელი ორგანიზაციები, გაერთიანება გაასაღებს როგორც თავის ოლქში, მხარეში, რესპუბლიკაში, ისევე მათ ფარგლებს გარეთაც სახელმწიფო, კოოპერაციულ ორგანიზაციებზე და ბაზარზე მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფასებში, ამასთან რეალიზებულ მალფუჭებად პროდუქციას, კარტოფილსა და ფრინველს შეიტანს სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის შესრულებაში (ბაზარზე რეალიზებული პროდუქციის გარდა). ამავე დროს დამამზადებელი ორგანიზაციები არ თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური პასუხისმგებლობისაგან პროდუქციის მიღებაზე უარის თქმისათვის.

68. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას შეუძლია განახორციელოს მოკავშირე რესპუბლიკების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მათ მიერ წარმოებულ პროდუქციის რეალიზაციისათვის მუშაობის მთლიანი ან ნაწილობრივი ცენტრალიზაცია.

უფლება-მოვალეობანი კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში

69. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება განახორციელებს გაერთიანების ნომენკლატურაში შემავალი სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელი კადრების, აგრეთვე გაერთიანების მმართველობის აპარატის შერჩევასა და განაწილებას, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს ხელმძღვანელ თანამდებობაზე დასაწინაურებელი კადრების რეზერვის შესაქმნელად და მოსამზადებლად, განსაზღვრავს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებსა და მასობრივი პროფესიების კვა-

ლიფიცირ კადრებზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმო-ორგანიზაციების მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას, უზრუნველყოფს მუშათა და კოლმეურნეთა მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, მიიღებს ზომებს ახალგაზრდა სპეციალისტთა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რაციონალურად გამოყენებისათვის და განახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ გაერთიანების მუდმივი კადრების შექმნას.

70. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება უზრუნველყოფს, რომ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებში შეიმუშაონ და განახორციელონ შრომის ნაყოფიერების ამაღლების, შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის, მართვის ფორმების, მეთოდებისა და სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებანი, მოაწიფოს შრომის ნორმირების, გამოშვებების (დროის) ნორმების, რიცხოვნობის ნორმატივებისა და მომსახურების ნორმების გადასინჯვის, სამუშაო ადგილების ორგანიზაციის ტიპობრივი პროექტების დანერგვის სამუშაოებს, განახორციელებს უსაფრთხოების ტექნიკის, შრომის პირობების გაუმჯობესებისა და გაცანსალების ღონისძიებებს.

71. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებისა და პრემირების მოქმედი პირობების სწორად გამოყენებას და შრომის ნაყოფიერების ზრდასა და საშუალო ხელფასის ზრდას შორის სწორ თანაფარდობას, განახორციელებს კონტროლს ხელფასის ფონდის (შრომის ანაზღაურების ფონდის), მატერიალური წახალისების ფონდისა და სხვა წამახალისებელი ფონდების ხარჯვისადმი გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

72. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას შეუძლია, როგორც გამოაკლისი, ნება დართოს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებს დაფარონ ხელფასის ფონდის დაშვებული გადახარჯვა (ძირითადი საქმიანობისა და კაპიტალური მშენებლობის ხაზით) გაერთიანებისათვის დამტკიცებული ხელფასის წლიური ფონდის ხარჯზე და ფარგლებში იმ პირობით, თუ აღნიშნულ საწარმო-ორგანიზაციებზე არ ირიცხება ხელფასის ფონდის აღნაზღაურებელი გადახარჯვა.

73. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას შეუძლია ნება დართოს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებს დაუწესონ განსაკუთრებით მნიშვნელოვან და პასუხსაგებ სამუშაოებზე დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ მუშებს სატარიფო განაკვეთების ნაცვლად სარგოები თვეში 200 მანეთამდე ოდენობით (მაგრამ არა უმეტეს უფროს სპეციალისტთა თანამდებობრივი სარგოებისა, 30-პროცენტის დანამატის გათვალისწინებით) საწარმოსა და ორგანიზაციის ხელფასის საგემო ფონდის ფარგლებში, ამასთან დახარჯონ ამ მიზნებისათვის აღნიშნული ფონდის არა უმეტეს 0,2 პროცენტი.

74. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას დადგენილი წესით შეუძლია ახლად შექმნილ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სა-

წარმო-ორგანიზაციებში საჭიროების შემთხვევაში გაუდიდოს 2-3 წლამდე ვადით თანამდებობრივი სარგოები (საანგარიშსწორებო განაკვეთები) ხელმძღვანელ მუშაკებს, სპეციალისტებსა და მთავარ ბუღალტერს 1-3 ჯგუფით შრომის ანაზღაურების იმ ჯგუფთან შედარებით, რომელიც დაწესებულია მოცემული წლისათვის პროდუქციის რეალიზაციის საგეგმო მოცულობის მიხედვით, აგრეთვე შეუნარჩუნოს 2-3 წლის განმავლობაში თანამდებობრივი სარგოები მუშაკებს მეურნეობის სპეციალიზაციის შეცვლისას ან ამ მუშაკთა სამუშაოდ გადაყვანისას სხვა მეურნეობებში, სადაც ნაკლებია სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობა, აღნიშნული მეურნეობების კადრებით განსამტკიცებლად.

75. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე (გენერალური დირექტორი) შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით დამტკიცებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საბჭოთა მეურნეობების: და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციების დირექტორთა, მათ მოადგილეთა, მთავარ სპეციალისტთა (უფროს სპეციალისტთა — მთავარი სპეციალისტის უფლებებით), მთავარ ბუღალტერთა (უფროს ბუღალტერთა—მთავარი ბუღალტრის უფლებებით) პრემიებისა და ჯილდოების ოდენობას, აგრეთვე მათთვის მატერიალური დახმარების გაწევის ოდენობას, აგრეთვე შეუძლია ჩამოართვას მუშაობაში საწარმოო ხარვეზებისა და ნაკლოვანებებისათვის აღნიშნულ მუშაკებს პრემიები და ჯილდოები მთლიანად ან შეუმციროს მათ პრემიებისა და ჯილდოების ოდენობა მოქმედი დებულებების შესაბამისად.

76. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება უზრუნველყოფს, რომ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებში შეიმუშაონ გამომუშავების (დროის) ნორმები, მომსახურების ნორმები და სამუშაოთა და პროდუქციის ფასდებანი დარგობრივი და სადარგოთაშორისო ნორმატივების შესაბამისად.

77. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში გაუზღავნოს გაერთიანების კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების დროებით განთავისუფლებული მუშაკები, შრომის კანონმდებლობის დაცვით, და ტექნიკა (მათი თანხმობით) გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ სხვა საწარმო-ორგანიზაციებს მუშაობაში დახმარების გასაწევად, ამასთან ანგარიშსწორება დაინტერესებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის განხორციელდება დადგენილი წესით ან მხარეთა შეთანხმებით სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობის საფუძველზე.

78. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების ადმინისტრაცია მოაწყობს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მუშაობას გაერთიანებაში შემავალ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის გასავითარებლად, შეაჯამებს მათს შედეგებს, განსაზღვრავს შეჯიბრებაში გამარჯვებულებს, გადაწყვეტს მოწინავე კოლექტივებისა და მუშაკების წახალისების საკითხებს.

79. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება უზრუნველყოფს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმების განხორციელებას, მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატურ გაუმჯობესებას, მოაწყოებს საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, საავადმყოფოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, ხელს შეუწყობს კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას.

80. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებაში შეიძლება ცენტრალიზებულად განხორციელდეს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სამუშაოები და სხვა სამუშაოები შრომისა და ხელფასის დარგში.

81. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების მთავარი საწარმოს მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯები გაიღება ამ საწარმოს სახსრებიდან, აგრეთვე გაერთიანების მიერ საწარმო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების ცენტრალიზაციის კვალობაზე და სხვა საჭირო შემთხვევებში — გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი სხვა საწარმო-ორგანიზაციების ანარიცხებიდან.

გაერთიანების მმართველობის განცალკევებული აპარატის შენახვის ხარჯები გაიღება გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების ანარიცხებიდან, აგრეთვე საწარმო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზებული განხორციელების შედეგად გაერთიანების მიერ მიღებული შემოსავლიდან.

გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმო-ორგანიზაციათა ანარიცხები გაერთიანების მმართველობის აპარატის შესანახად განეკუთვნება მათ მიერ სარეალიზაციო პროდუქციის (შესასრულებელი სამუშაოების, გასაწევი მომსახურების) თვითღირებულებას.

უფლება-მოვალეობანი ფინანსების, კრედიტის, აღრიცხვისა და ანგარიშების დარგში

82. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების დაფინანსება, გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაკრედიტება, მოგების (წმინდა შემოსავლის) განაწილება და გამოყენება, ეკონომიკური სტიმულირების ფონდებისა და სხვა ფონდების წარმოქმნა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

83. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება მოაწყოებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებში საფინანსო მუშაობას, განხორციელებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, რენტაბელობის ამაღლების ღონისძიებებს, უზრუნველყოფს საბრუნავი სახსრების დაცვა-შენარჩუნებას, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებას და მათი ბრუნვადობის დაჩქარებას, მიიღებს ზომებს სახელმწიფო ბიუჯეტთან, სსრ კავშირის სახბანკის (სსრ კავშირის მშენებანკის) დაწესებულებებთან, მიმწოდებლებთან და მოჯარეებთან, მუშებთან, მოსამსა-

ხურებთან და კოლმეურნეებთან ხელფასის (შრომის ანაზღაურების) ანგარიშ-სწორების დროულად განხორციელებისათვის, აგრეთვე საფინანსო გეგმიდან და ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულებისათვის.

84. მოგების გადასახდელების, ბრუნვის გადასახადის ხაზით სახელმწიფო ბიუჯეტს ანგარიშს გაუსწორებენ, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადს გადაახდინან უშუალოდ სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმო-ორგანიზაციები მოქმედი წესის შესაბამისად ან გაერთიანება ცენტრალიზებულად სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით იმ სამინისტროსთან (უწყებასთან) შეთანხმებით, რომლის სისტემაშიც შედის გაერთიანება.

85. ხელფასის ფონდის ხარჯვისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისადმი კონტროლი ბანკების მხრივ ხორციელდება როგორც მთლიანად სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების მიხედვით, ისევე გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი თითოეული საწარმოსა და ორგანიზაციის მიხედვით.

86. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას შეუძლია მისცეს სსრ კავშირის სახბანკოს (სსრ კავშირის მშენბანკის) დაწესებულებებს დავალდებანი იმის შესახებ, რომ უდავოდ ჩამოსწერონ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმო-ორგანიზაციების ანგარიშებიდან (კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციების ანგარიშებიდან — მათი თანხმობით) გაერთიანებისათვის გადასარიცხი სახსრები, საფინანსო გეგმების მიხედვით გადანაწილების წესით ამოსაღები სახსრები, სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციათა წლიური ანგარიშების მიხედვით ჰარბი საკუთარი საბრუნავი სახსრები, აგრეთვე გაერთიანების საწარმო-ორგანიზაციების მიერ ცენტრალიზებული ფონდებიდან, რეზერვებიდან და სხვა წყაროებიდან დაბრუნების პირობებით მიღებული და დაწესებულ ვადებში დაუბრუნებელი სახსრები.

87. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება ვახსნის დადგენილი წესით სსრ კავშირის სახბანკოს (სსრ კავშირის მშენბანკის) დაწესებულებებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს და შეასრულებს მათი მიხედვით შესაბამის ოპერაციებს.

88. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება:

მიიღებს ზომებს, იმისათვის, რომ შეავსოს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციათა საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობა, რომელიც ცალკეული საწარმო-ორგანიზაციების მიზეზით წარმოიშვა, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების გზით, რაც უზრუნველყოფს დამატებითი მოგების მიღებას მომდევნო პერიოდებში, ხოლო საჭირო შემთხვევებში აგრეთვე იმ გზით, რომ დროებით (2 წლამდე) შეამციროს შესაბამის საწარმო-ორგანიზაციათა მოგების ანარიცხები ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში 30 პროცენტამდე ოდენობით;

გაანაწილებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციების მიხედვით მოქმედა კანონმდებლობის შესაბამისად მათთვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასივნებებს,

მიიღებს ზომებს მათი რაციონალურად ათვისებისათვის, გადაანაწილებს საკურობების შემთხვევაში მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად ცალკეული სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით ამ ასიგნებებს მთლიანად გაერთიანებისათვის დაწესებული საერთო თანხების ფარგლებში;

დაუგზავნის გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობებს იმ სამუშაოთა მოცულობებს, რომლებიც სახელმწიფოს სახსრების ხარჯზე სრულდება.

89. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება:

წარუდგენს დადგენილი წესით სსრ კავშირის სახბანკის (სსრ კავშირის მშენბანკის) დაწესებულებებს და ზემდგომ ორგანოს კრედიტების ვანაცხადებს მთლიანად გაერთიანების მიხედვით;

შეუძლია მისცეს სსრ კავშირის სახბანკის (სსრ კავშირის მშენბანკის) დაწესებულებებს გარანტიები გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების საკრედიტო ვალდებულებათა გამო;

გაანაწილებს და გადაანაწილებს სსრ კავშირის სახბანკის (სსრ კავშირის მშენბანკის) მიერ დადგენილი წესით გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტების ლიმიტებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ საწარმო-ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებს შორის;

შეუძლია გამოიყენოს ბანკის კრედიტი გაერთიანებაში ცენტრალიზებულად განსაზოცილებელი ღონისძიებებისათვის და პასუხისმგებელია კრედიტის მიზნობრივად გამოყენებისა და მისი დროულად დაბრუნებისათვის;

შეამოწმებს საფინანსო ორგანოებისა და სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებების წარმომადგენელთა მონაწილეობით გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი, დაკრედიტების განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაყვანილი, საწარმო-ორგანიზაციების მუშაობას და ამ შემოწმებათა შედეგების მიხედვით მიიღებს გადაუდებელ ზომებს მათი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

90. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებას შეუძლია ჩამოსწეროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დადგენილი წესით თავისი ბალანსიდან მორალურად მოქველებული, გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი და ინსტრუმენტი, როცა ამ ქონების აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია და იგი არ შეიძლება რეალიზებული იქნეს აგრეთვე ობიექტების მშენებლობასთან ან რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით აღებული ანდა ძველ შენობა-ნაგებობანი.

91. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანება დადგენილი წესით აწარმოებს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას და შეადგენს ანგარიშგებას, წარუდგენს დაწესებულ ვადებში შესაბამის ორგანოებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ყველა სახე-

ობის კრებისთ ანგარიშებსა და ბალანსებს, მოაწყობს და გააკონტროლებს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმო-ორგანიზაციებში, დამტკიცებული ფორმებისა და მაჩვენებლების მიხედვით მათ მიერ ანგარიშგების შედგენას და დროულად წარდგენას შესაბამის ორგანოებში და უზრუნველყოფს მის უტყუარობას, განიხილავს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს და დამტკიცებს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, განახორციელებს სააღრიცხვო-გამოთვლით სამუშაოთა მექანიზაციისა და აღრიცხვის პროგრესული მეოდეების დანერგვის ღონისძიებებს.

92. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებაში შეიძლება ცენტრალიზებულად განხორციელდეს სააღრიცხვო-გამოთვლითი სამუშაოები, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვა და ანგარიშგების ორგანიზაცია.

გაერთიანებაში შეიძლება შეიქმნას გაერთიანებული არქივი გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმო-ორგანიზაციათა დოკუმენტური მასალების შესანახად.

V. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

93. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა და გამოყოფა) და ლიკვიდაცია მოხდება გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების გადაწყვეტილებით, რომელსაც დამტკიცებს ის ორგანო, რომელიც უფლებამოსილია შექმნას შესაბამისი გაერთიანება.

94. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებათა შერთების შემთხვევაში გაერთიანებებისათვის მიჩენილი ფონდები, რეზერვები და სხვა ქონება გადაეცემა შერთების შედეგად წარმოქმნილ ახალ გაერთიანებას.

ერთი გაერთიანების მეორესთან მიერთებისას უკანასკნელ გაერთიანებას გადაეცემა მიერთებული გაერთიანებისათვის მიჩენილი ფონდები, რეზერვები და სხვა ქონება.

95. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების გაყოფის შემთხვევაში ამ გაყოფის შედეგად წარმოქმნილ ახალ გაერთიანებებს, გაყოფის აქტის მიხედვით გადაეცემათ რეორგანიზებული გაერთიანებისათვის მიჩენილი ფონდები, რეზერვები და სხვა ქონება.

სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანებიდან ერთი ან რამდენიმე გაერთიანების გამოყოფისას, აგრეთვე მისი შემადგენლობიდან ცალკეული საწარმოების ან ორგანიზაციების გამოსელებისას მათ გაყოფის აქტის მიხედვით გადაეცემათ გაერთიანებისათვის მიჩენილი ფონდები, რეზერვები და სხვა ქონება.

96. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ცალკეული საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციების გადაცემისას სხვა გაერთიანებებს ან ორგანიზაციებს გაყოფის აქტის მიხედვით გადაეცემათ აგრეთვე გაერთიანებისათვის მიჩენილი ფონდები, რეზერვები და სხვა ქონება.

97. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების ლიკვიდაციის შემთხვევაში გაერთიანებისათვის მიჩენილი ფონდები, რეზერვები და სხვა ქონება გადაეცემათ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებს შესაბამისი ზემდგომი ორგანოს მითითებით, ამ ქონების შექმნაში მათი მონაწილეობის გათვალისწინებით.

ლიკვიდირებული გაერთიანების მიმართ კრედიტორთა მიერ პრეტენზიების წაყენების ვადას დააწესებს ის ორგანო, რომელიც ამტკიცებს გადაწყვეტილებას გაერთიანების ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ ეს ვადა არ შეიძლება ერთ თვეზე ნაკლები იყოს.

პრეტენზიები ლიკვიდირებული გაერთიანების მიმართ დაკმაყოფილდება მისი ქონებიდან, რომელზეც კანონის მიხედვით შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება.

32 ა. ა. ვასაძის ხსოვნის უკვდავოვის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ალექსის ძე ვასაძის ხსოვნის უკვდავოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში ა. ა. ვასაძის სახელობის ერთი სტიპენდია ინსტიტუტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

2. გაუკეთდეს მემორიალური დაფა ქალაქ თბილისში პლესანოვის პროსპექტზე მდებარე № 2/8 სახლს, სადაც ცხოვრობდა ა. ა. ვასაძე.

3. მიეკუთვნოს ა. ა. ვასაძის სახელი ქუჩებს ქალაქ თბილისში და ქალაქ ქუთაისში, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა იგი.

4. მიეკუთვნოს ა. ა. ვასაძის სახელი ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელს.

5. მოეწყოს ა. ა. ვასაძის ბინაში მემორიალური ოთახი — საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი.

6. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დადგას ბიუსტი ა. ა. ვასაძის საფლავზე.

7. ნება დაერთოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს გამოყოს ა. ა. ვასაძის საფლავის კეთილმოწყობისათვის საჭირო სახსრები.

8. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გამოსცეს ა. ა. ვასაძის მოგონებათა მეორე ტომი და ა. ა. ვასაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი კრებული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 2 აპრილი, № 211.

33 ლ. ი. ანდლულაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მომღერლის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის დავით იასონის ძე ანდლულაძის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიეკუთვნოს დ. ი. ანდლულაძის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

2. დაწესდეს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტზე დ. ი. ანდლულაძის სახელობის ერთი სტიპენდია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსათვის გამოყოფილი სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

3. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა კეთილმოაწყოს განსვენებულის საფლავი დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წლის 2 აპრილი, № 212.



34 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაწესებულების სტატუსის მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საქმიანობის მართვის სტრუქტურის სრულყოფის, აგრეთვე მისი მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაწესებულების სტატუსი.

2. გათვალისწინებულ იქნეს, მოყოლებული 1980 წლიდან, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუშაობის დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მაჩვენებლები ცალკე სტრიქონად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. კატარიაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი. 1979 წ. 13 აპრილი, № 245.

35 თბილისის წიგნის ფაბრიკისათვის ილია ჭავჭავაძის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და მიეკუთვნოს თბილისის წიგნის ფაბრიკას გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. კატარიაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 16 აპრილი, № 247.

36 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დანართში ჩამოთვლილი სახალხო მეურნეობის უმნაშენელოვანესი დარგების იმ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ცალკეული უწყებების სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, თუ მათ შეწყვეტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან, ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„107. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საგზაო-საექსპლუატაციო უბნები, საგზაო-სარემონტო-სამშენებლო, ხიდსარემონტო-სამშენებლო და საგზაო-სარემონტო-სამშენებლო-საექსპლუატაციო სამმართველოები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. კატარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარიძე**.

ქ. თბილისი, 1979 წ. 28 აპრილი, № 279.

37 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დანართში ჩამოთვლილი სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების იმ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ცალკეულ უწყებათა სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის

მიუცემლად, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან, ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„108. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქმარმარილოს“ ახალციხის აქატი-დიატომიტის მაღაროსამმართველო“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. პატარიაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხუნწარიძე.

ქ თბილისი, 1979 წ. 28 აპრილი, № 281.

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2. 1979 года

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/IX-79 წ. ქალაქის ზომა 70×108/1₁₆
საბეჭდი თაბახი 4,5, სააღრიცხვო თაბახი 4,5

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

6169/163